

ԱՐԵՎԵ

Արթոն Յան Թիրոնս

49

კუთხის ფოტო.
13. XII - 36 წ.
ავტორი


899.962.1-1

ს ს უ ნ ჯ ე

ხალხური შემოქმედებისა

ს/კ/1118

გ. III



თეატრამობეჭლობა „თეატრისა და შრომა“

თვილისი

1936

პ/შვებელი რედაქტორი—ა კ. ჭყანა თ ა

ტექნიკური კორექტორი } შ. აფხაზე

გამომშვები—ნ. მალანია

მთავლიტი № 7022

გადაეცა წარმოებას 5/VII—1936

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX 1936

ტირაჟი 10.000

შეკვეთის № 833

მასახე ტომის ჭინასითყვაობა

„საუნჯეს“ მესამე ტომიც გამოვიდა. ამრიგად ვამთავრებთ იმ დიდძალი მასალის ნაწილობრივ წიგნებად გამოშვებას, რომელიც გაზეთმა „კოლექტივიზაციამ“ შეაგროვა თავისი მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების დახმარებით. ხალხური შემოქმედების დანარჩენი ნიმუშები, დაახლოებით ათი ათასამდე ცალი, შესაფერისად დახარისხებული, გადავეცით საქართველოს მწერალთა მუზეუმის დირექტორს, პოეტს ამხ. გიორგი ლეონიძეს, მუზეუმის საკუთრებად.

„საუნჯეს“ პირველმა ორმა ტომმა მკითხველთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია მოიპოვა. მეტად დიდი იყო ინტერესი ხალხური შემოქმედების ამ ახალი მასალებისადმი. ამის გამო პირველი ტომი, ხელმეორედ გამოიცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკამ სა-
ერთო დადებით მხარეებთან ერთავ ზოგი ნა-
კლიც აღნიშნა. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ
წიგნებში, განსაკუთრებით, მეორე ტომში,
დაშვებულია კორექტურული შეცდომები. არც
მხატვრული გაფორმების მხრივ არის ეს
ტომი უნაკლო. თუ უხეირო კორექტურა ჩვენი
ბეჭვდითი სიტყვის დიდი ბოროტებაა, მით
უფრო დაუშვებელია ის ხალხურ შემოქმედე-
ბაში, სადაც გამოთქმის სიზუსტეს, ლოკა-
ლისა და საკუთარი სახელების სწორად გად-
მოცემას თავისთავად გასაგები მიზეზების გა-
მო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ კრიტიკოსნი მარტო ამ ნაკლს არ
აღნიშნავდნენ. მთავარი, რაც ზოგიერთ მკით-
ხველს „საუნჯის“ დეფექტად მიაჩნია, ეს არის
წმინდა ფოლკლორული, უავტორო ლექსების
გვერდით თანამედროვე ხალხური პოეტების
ლექსების მოთავსება. ამ ფაქტიდან ისეთი
დასკვნა გამოჰყავთ, რომ „საუნჯე“ არ იძ-
ლევა ყველა შემთხვევაში ჩვეულებრივი აზრით
გაგებულს, ისტორიულ ფოლკლორულ მასალას.

ჩვენ ეს ბრალდება გაუგებრობის შედეგად მიგვაჩნია. რედაქტირამ შეგნებულად მოათავსა ერთმანეთის მეზობლად ძველი ზეპირსიტყვაობის ნიმუშები და თანამედროვე ხალხური პოეტების ლექსები. მიზანიც თავიდანვე ასეთი იყო. როდესაც გაზეთ „კოლექტივიზაციამ“ გამოაცხადა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა, რედაქტირა გულისხმობდა ახალი სოციალისტური საქართველოს სინამდვილეში წარმოშობილ და დღემდე ხალხში შენარჩუნებულ ზეპირსიტყვაობის შეგროვებას. ახალი ფოლკლორი კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩანასახშია. თხუთმეტი წელიწადია, რაც ჩვენში პროლეტარიატის დიჭიატურაა. ეს დრო თითქოს ანგარიშში მისაღებიც არ არის ზეპირსიტყვაობის განვითარებისათვის. ფოლკლორის ისტორია ხომ ათეული საუკუნეებით განიზომება. მაგრამ საბჭოთა დროის სრულიად ნორჩი ზეპირსიტყვაობა უკვე იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ მისი შეგროვება და შესწავლა უთუოდ დიად საგულისხმო მასალას იძლევა ყნის, ყოფა-

ცხოვრების და ისტორიის თვალსაზრისით. ეს ზეპირსიტყვაობა ჩვენ თვალწინ ისახება, ჩვენ თვალწინ ისხამს ხორცსა და სისხლს. მისი სწრაფი ზრდა უთუოდ იმ დიდი სოციალური ძვრების ანარეკლია, რომელიც თან მოიტანა პროლეტარულმა რევოლუციამ. ლენინისა და სტალინის ეპოქამ გასტეხა ყამირი, მან გამოიყვანა შემოქმედების ყველა დარგში ფართო სარჩიელზე საუკუნეებით ხელოვნურად გზადახშული მშრომელი მასები. რა გასაკვრია, რომ საბჭოთა ფოლკლორის შემოქმედნი ჩვენი დროის აღამიანებია, რომ მათ ნათქვამს ჯერ კიდევ ახლავს ავტორის სახელი. ქიზიყელი გლეხი ისაკო მირიანაშვილი, ჯავახელი ვლადიმერ ბერუაშვილი, ხევსური თათარა ჭინჭარაული, კახელი მ. ქურთულიშვილი, თბილისელი ეთიმ გურჯი და ბეჩარა, საჩქრელი იაკოფ ნასარიძე და სხვანი და სხვანი, რომელიც შეპხარიან „საუნჯეს“ ფურცლებიდან ჩვენს მშვენიერს, ახალს ქვეყანას, აი, ხალხის წიაღიდან გამოსული უსა-

ხელო, მაგრამ დიდი ნიჭის აღამიანები. აი, საბჭოთა საქართველოს ფოლკლორის ფუძე-მდებელნი. რა დანაშაულია მათი ვრნაობის აღნიშვნა, რა შერყვნაა ხალხური წემოქმედების სიწმინდისა, თუ ჩვენ ამ უპრეტენზოო, ნიჭიერ ხალხურ პოეტების სახელს დავიცავთ მომავალი თაობისა და მკვდევარისათვის?! განა ცუდი იქნებოდა, რომ ჩვენ ვიცოდეთ „აბესალომ და ეთერის“ შემთხვეველის ვინაობა? დრომ წაშალა მისი სახელი. ხალხმა კი ეს თვალმარგალიტი ზეპირსიტყვაობისა, ისე როგორც მრავალი სხვა მისი მსგავსი, შეინარჩუნა, თაობიდან თაობას გადასცა, დახვეწა, გაალამაზა, შიგ კოლექტიურად ჩააქსოვა თავისი ნიჭი და ჩვენამდე ჰითანა.

ვნახოთ, რამდენად მაღალი შხატვრული ლი-რსებისაა ახალი დროის ხალხური პოეზიის ზოგიერთი ნიმუში. აი, ნაწილი ფშავში ჩაწერილი ლექსისა ლენინის გარდაცვალებაზე:

„რუსეთით ცნობა მოსულა—ლენინი გარდიცვალაო. იქნებ მოტყუფა რადიო, სიტყვა ვერ მოიტანაო?

სწორი პასუხი მოვიღა — ლენინი გარდიცვალაო!
მაღლა მთაშია ხეებმა ტოტები დაიხარაო,
ფრინველთ შასწყვიტეს გალობა, იმათაც იგრძნეს განაო?.
ნეტა რა დედამ გაგზარდა, რა პირმა გითხრა ნანაო,
ი დასაქცევმა სიკვდილმა რაღა შენ წაგიყვანაო“.

აი კლასთა ბრძოლისა და სოფლის ახალი
ყოფის სურათიც:

„ზრიგოლის ქებას გიამბობ
გოგოლაურის შვილსაო:
გუჭაშაყარში მოსულა,
აღმასკომშია ზისაო.
სულ გაულალამ წარ-ძროხა
ბობოლა კულაკისაო,
ჭიდილები დაყიდა,
ათი-თორმეტი წლისაო,
მღვდელს რაღა უყო, აკერა,
ამ პეტრიაზვილსაო:
წართო იორღა ცხენი,
ახლა ფეხითა დისაო.
რა უყოს ეხლა პურებსა,
რაით წაიღოს ისაო?
თუ ფეხით წააღებინე —
წესი არ არის მღვდლისაო.

დედა გეტირა, კულაკო,

ახლა წომ შეგხვდა ჭყვისაო?!

ამა ლექსისა მამთქმი

ცეცხლის პირასა ზისაო.

ეპრე გადმოყრის ლექსებსა,

როგორც წისქვილი ფქვილსაო.

ეს ლექსი გამოუთქვია,

ხატიპარიაშვილსაო“.

დამახასიათებელია, ძველი სახალხო პოეტი,
ძველი ბოჰემური თბილისის ქუჩის შვილი,
ეთიმ გურჯიც, რომელიც ახალი გრძნო-
ბით ალაპარაკდა:

„...კოლექტივში მიმაქვს ლექსი ძღვენია,
მეც თქვენთან ვარ ლექსების დამკვრელია,
წინ რომ გვიძლვის სტალინი და ბერია,
გაიხარებს მათი გამჩენელია.

მეც წომა ვარ კოლექტივის წევრია,
კოლექტივზე ბევრი დამიწერია.

ოქტომბერმა მოსპო ყველა მტერია,
დასცა გულში ლაშვარი და გენია,
მოხვდათ ისე, ვერ აიღეს წელია,
მე სახალხო პოეტი ვარ, ძველია,

და გიმლერით ეთიმ გურჯი ოქვენია“.

აი, ლარიბი, ქვრივი ხევსურის სიხარული,
რომელიც კოლექტივმა წელში გამართა, რო-

მელშაც ბელელი პურით ავსო, ახლა ეს ძველი
ყოფის სიღუხჭირით ილაჯგაწყვეტლი გლეხი
ბედს შევხარის, ცოლის მოყვანასთც ფიქრობს,
თავიდან იწყებს (კხოვრებას:

სონდისველამ¹⁾ შეადაინა
კოლექტივი არტელია,
მენაც შევედი ლარ ბი,
ცოცხალ მკვდრებში სათვლელია.
კოლექტივიცა ყოფილა,
საწყლის კაცის საფერია:
ბეჭელი პურით ავავსე,
ქერი მერგო რამდენია;
ჩალის ზვინები ავაგე,
ბზით ავავსე საბზელია.
ფილიპე ბუზუნაურო,²⁾
ტადლი ჰქენ და სახელია,
ერთი პერანგი მაჩუპე,
თეთრი, ტანხე ს. ცმელია.
არავინა მყავ მკერავი,
სახლში ხინკლის ჩამყრელია,
დედაკაცი მომიყვანეთ,
ქვრივი, ჩემი საფეხია“.

1) სოფლის სახელია.

2) კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ეს კიდევ ცოტაა. მდრღარი და შრავლ
ფეროვანია ახალი ფოლკლორი თემატიკით.
ლენინისა და სტალინის სახელს უმღერის
დღეს მთელი ჩვენი ბეჭდვითი ლიტერატურა,
მთელი ხალხი, კაცი და ქალი, მოხუცი და
ახალგაზრდა. აი „პატარუნა“ ფშავლის ამა-
ღელვებელი სიტყვები:

„მომკვდარა ჩვენი ლენინი,
ალარა გვყავის მცველია,
დამგლოვიარდენ მშრომელნი,
გულს დაიკრიფეს ხელია.
ლენინის ადგილას არის
ებლა სტალინი ჩვენია,
შეხარის ქარხნის შუშები...
შენი ჭირიმე, შენია!
შორი-შორ ერიდებიან:
„არ მივაკაროთ მტვერია“.
ხელში ფანქარი უჭირავს,
მოუღერებავ ყელია...
ალარცად არის ძველი დრო,
გზირი, ხატი და ღვდელია.
ვაჟაის გვარისა არის,
ემაგ ლექსისა მთქმელია,
ბალლია პატარუნაი,
არც ეწამება წვერია.
ლექსს იცყვის ჩვენსა მამაზე,
კალამი დაუჭერია“.

მაგრამ განა მარტო თავის წარსულ ჭირ-
ვარამის დამარცხებას და ბედნიერი დღის სი-
ხარულს შეტროის ხალხის გული? არა, მას
ფრთას ასხამს და აცისკროვნებს ჩვენი კულ-
ტურის ზრდა, ის მოწიწებით და უსაზღვრო
სიყვარულით იხსენიებს კაცობრიობის ყველა
გოლიათს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებე-
ლია ის რეზონანსი ხალხში, რომელიც მოგვცა
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენ-
ტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენი-
ლებამ შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს
აღნიშვნის შესახებ.

გლეხი პოეტი ისაკო მირიანა შვილი
მშვენიერი ლექსით გამოეხმაურა პარტიის და-
ძახილს. ის ასეთი სიტყვებით შიმართავს რუს-
თაველს:

„შენა ხარ ქვეყნის დიდება,
მოლექსეთ მამამთავარი,
შენსა ხელთუქმნელ სტრიქონებს
აყრია ოქროს ჯავარი.

დაგიტოვინა უკვდავი
ნაშრომი, ნამუშავარი.
მაგ შენს მკლავსა და კალამსა,
კლდე ვერ ედაროს მაგარი...
შოთავ, შენა ხარ ამ ქვეყნად

უკვდავად მოვლინებული,
 ცისკარად გადაქცეული,
 დაუციწყარი ქებული,
 ბალხისა სადიდებელი,
 პატივით მოხსენებული.
 საქვეყნოდ ხელში გადადის
 გოგმანით შენი კრებული.
 შოთავ, ხორცს ისხამს ახლათა
 ეგ შენი გადმოცემული,
 თანასწორდება უფლებით
 თონათინ პატივცემული,
 ისპობა ძველი წესები,
 გაცვეთილი და გვემული.
 ბოთავ, შექმნილხარ ქვეყნისთვის
 გულისა მეგობარადა,
 შენი უკვდავი სიტყვები
 თან დაგვდევს მთად და ბარადა,
 ხან ეშჩის ზღვაში გადგვისვრის,
 გულზე ცეცხლმომდებარადა,
 კვლავ შენი სიტყვა ზეიმობს
 სიტურფის საქებარადა”.

ამგვარი მხატვრული ოსტატობით შემკო-
 ბილი შოთა რუსთაველი ძნელდა თუ შე-
 გვხვდება უკვე აღიარებულ, სახელგანთქმულ
 პოეტების ლექსებშიც კი.

ასე შლერის დღეს ბეღნიერი ქვეყნის ბეღნიერი ხალხი, ასე ისახება და იკვლევს გზას ახალი საქართველოს ფოლკლორი.

სწორედ ამიტომ დავუთმეთ ჩვენ „საუნჯეს“ სამს ტობში საპატიო ადგილი ახალ ხალხურ შემოქმედებას და მის გვერდით მოვათავსეთ ძველი, მაგრამ ხალხში დღეს კიდევ ცოცხალი, ხალხური პოეზიის ნიმუშები.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მწერალთა მუხეუმი ლირსეულად დამუშავებს დიდძალ ფოლკლორულ მასალას, რომელიც დღეს მას მოეპოვება და უფრო ლირსეულად გამოსცემს მას. ჩვენ კი გაზით „კოლექტივიზაციის“ მიერ შეგროვებული ნიმუშების გაძოცემას, დაპირებისამებრ, სამტომეულით ვამთავრებთ და ვამთავრებთ ისევ ნიჭიერი გლეხი პოეტის ისაკო მირიანა შვილის სიტყვებით:

„ჩვინო ძვირფასო „საუნჯევ“,

ნაკრეფო ფოთოლივითა,

ხეტიალობდი მთა-ველში,

უმწეო ობილივითა.

ეხლა ხომ ჩაგსვეს წიგნებში,

შეგასხმენ ოქროს ლილებსა,

რომ ასრე ნაწვავ-ნადაგი,

გადაგცენ შვილის შვილებსა“...



აკ. ჭყონია.

ს ი მ ღ ე რ ა

ლენინსა და სტალინზე¹

შუალამისას ავღგები
და სულ გავითურთხობ ძილსა.
ხელში ავიღებ ჩონგურსა
გათლილსა, ვერხვის ხისას.
ერთი მეძროხე ბიჭი ვარ,
ვიცი ბილიკი ტყისა.
არ დამაძინებს ოხერი,
ლამით ლმუილი მგლისა.
დავჯდები მთვარის შუქჲედა
ხელში ავიღებ წიგნსა,
ძმებო, შაირი უნდა ვთქვა
ამ ოციოდე წლისა.

ათას ცხრაას თოთხმეტ შელსა
ცოდო-ბრალია ღვთისა.
ძვრა იყო დედამიწისა,
ჭექა-ჭუხილი ცისა.
სისხლმა შელება მინდვრები
და უბეები მთისა.
ზოგი დახოცეს თათრებში,
ზოგი ვარშავის ძირსა.
დაჭრილი — გლია ვაჟკაცი,
მტერს უკრიჭინებს კბილსა.
მაგრამ არ აცლის ოხერი
პატრონა თითბერისა,
მოხვდება, გადმოვარდება,
როგორც ნატეხი კლდისა.
აღარც ცრემლები მშობლისა,
აღარც ანდერძი ღვთისა,
დაჯდება შავი ყორანი
მარტო იტირებს ისა.
საბრძოლველად დარაზმულა
ჯარები ლენინისა.
მშრომელთა მამა ლენინმა
პირი გასინჯა ხმლისა.

თავადებს შემოუთვალა,
რისხვა იყავით ყმისა,
თქვენ გწამდათ მამა-უფალი
წირვა და ლოცვა ლვდლისა?
თქვენმა მზემ, წითელ პარასკევს
ხორცს არ აღგამდით კბილსა!
აღდგომა იყო მდიდრისა,
ღიღმარხვა გლეხებისა.
რალა ქნან, რალა იყიდონ,
თქვენ დაუცალეთ ქისა.
შავი დღით მონავარები
ძალით წაართვით ისა.
ბრძანება გამოსულიყო,
ბრძანება ლენინისა:
მოსპეთ თავადი, წდიდარი,
ლუკმა გახადეთ ხმლისა.
მაგრამ არც მდიდრებს ეძინათ,
ჯარი გამოჩნდა მტრისა,
ყველა კუთხიდან დაიძრა,
როგორც ტალღები ზღვისა.
ლენინს როგორ დაამხობენ,
დახვედრა იცის მტრისა,

გვერდით დაუდგა სტალინი,
როგორც არწივი მთისა,
დიდხანს უვლია ციმბირში
გადაჭრა იცის გზისა.
საცა მიადგა ბურუუბს —
ბურუუას ცრემლი სდისა.
საცა შემოხვდა ლარიბებს
შუქი ჩამდგარა მზისა.
ქარხნები მუშებისაა,
მიწები გლეხებისა.
ესროლეს, შეკრეს მთაბარი
დიდი საბჭოთა მხრისა.
საზღვარზე ჯარი ჩამწკრივდა
წითელი დროშებისა,
ჩაუვლის ვოროშილოვი,
ლურჯა ულაყზე ზისა.
თუ ბიჭი არი გამოჩნდეს
საღმე ლაშქარი მტრისა.
მარტო ვარ, ჩონგურს დავძახი
ძილი დავათრთხე ტყისა,
ლენინს ხსენება, ბიჭებო,
სიცოცხლე სტალინისა!



შებატონი თავაღები

უწინ თავადებს სჭრიათ
კახეთის მთა და ბარია,
გლეხები ისე უხოცავ,
როგორც ნაღირსა ცხვარია,
კაცებ უღელში უბამის,
ბატონი კევრზე მდგარია.
გლეხი უღელსა ვერ სწევდა,
განა მანძილი ხარია?
კევრით გადმოხტა ბატონი
აღინა სისხლის ღვარია.



მღვდელი და გლობი³

მღვდელი. უწინ კარგადა ვიყავით,
კარგად ცხოვრობდა გლეხია,
ის უწინდელი ტყავ-ჩოხა
სუყველას ჩამოგვეხია.

გლეხი. შენ ის გაღარდებს, მამაო,
ქადები შემოგველია,
გვჭამდი და გვგლეჯდი გლეხებსა
შენ იყავ ჩვენი მტერია,
ჩვენი ნაშრომი ამაგი
ახლა ხო შემოგველია.
აქ ნამყოფთ საიქიოსა
არ წავალთ შაუცდელია.

ვიძახით ყოველ კუთხეზე
აღარ გვინდარის მღვდელია,
ვინცა მოკვდება, დავმარხავ,
მღვდელი აღარა გვჭირია,
მღვდელი და დიაკვანია
ხალხისა არი მტერია,
ზურგზე უკიდავ ხურჯინი
შიგ უძე ქადა-ყველია,
ორივე ჩვენი მტერია,
ღვინო-არაყის მსმელია.



ფშავლში გაზრდი ქვემოთა⁴

ფშავლში ვაუკაცი ქვდებოდა;
ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა,
ვარსკვლავი ჩამოლიოდა,
მთვარე უკუღმა დგებოდა.
მისი დედაი ბეჩავი,
შავებით იმოსებოდა.
მისსა ცოლსა კი საბრალოს
თვალებზე ცრემლი სდიოდა.
მისი ლურჯაი ტიალი,
ფეხის ჩლიქებზე დგებოდა,
ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ხდებოდა.



მოდით, მოგროვდით ქალებო.

მოდით, მოგროვდით ქალებო,
ჩვენი ტერტერა მომკვდარა.
არეულობა შეიქმნა,
რევოლუცია მომხდარა!
ეს რომ გაიგო კნიაზმა,¹⁾
ოძისისაკენ გამფრთხალა,
გაიგეს კომუნისტებმა,
თოფ-იარაღში ჩამსხდარა.
წავიდენ ოძისისაკენ,—
შალიკოს²⁾ კართან დამსხდარან.

¹⁾ ერისთავი.

²⁾ შალიკო ერისთავის ძმა, რომელმაც თავი შეა-
ფარა ოძისში.

— კნიაზო, გარეთ გამოდი,
შენი სამთელი ჩამქრალა!
აბგარა¹⁾) რეზოს²⁾ უძახის:
— ხვალ წახვალ ბეგარაზედა!..
კნიაზის მოკვლისათვისა
იხარეთ ქვეყანაზედა.



¹⁾ კომუნისტის საწელი.

²⁾ მოკლული ერისთავის შვილი.

ხომ არ მოგევდარა მურმანი?

ჩვენი საზღვრები კი ვიცი—
მეჩეთურა და დუმალა; ¹⁾
ასე ამბობდა ხუცესი:
ხომ არ მომკვდარა მურმანა?
ის ხომ არ იცის ხუცესმა,
რომელი ვკვდებით უმალა!
გავიდა ერთი წელი და
ხუცესმა სული გაყარა,
საცეცხლური და ოლარი,
ორივე ოხრათ დაყარა.



¹⁾ მეჩეთურა და დუმალა—მდინარისა და ადგილის საწელია იმერეთში.

ბატონიშვილის გაზრდა?

ლექსი ესე ბატონიშვილის
ნათქვამია ნასრაძისა.
ბატონიშვილი გეიყარა,
ბეღი ჩვენი რათ არ ლირსა!
ახლანდელი ყმაწვილები
შექმნილია კვირა დღისა.
საჭმე დღეს ვინ მოგვაცლიდა,
მსახური ვართ ბატონისა.
დღისით უნდა გვემუშავა,
ღამე არ მოგვვრიდა ძილსა,
ჰქონდათ სუფრა გამართული
სამთელ კართოფილისა.

ლხინობდენ და ქეიფობდენ,
გაიხსნიდენ გულისპირსა.
დალევდენ და დაულევდენ,
მოყვებოდენ „ძილისპირსა“.
თავადმა და აზნოურმა
ერთად მისცეს პირი-პირსა:
ჩვენ ჩვენი ყმები გავგლიჯოთ,
უნდა ეყოს შვილიშვილსა,
თვარამ ჩვენი ბატონყმობა
აღარ არის დიდიხნისა.
აწი უნდა ვიმუშაოთ,
ლირსი ვიყავთ ამ ყოფისა...
ვერც ვახსენებთ ხვნას და თესვას,
ვერც გავიტანთ ცულის პირსა.
აპა რა ვქნათ, რა ვითიქროთ,
ვინ დაარჩენს ჩვენ ცოლშვილსა!
არა გვიჯირს, თავადებო,
ნუ წავიხდენთ ჩვენ ჩვენ პირსა.
მამულის ლალა გვეყოფა,
ჯამაგირი ხემშიტისა.
რა იციან ბატონებმა,
რომ ხარჯია ორი თვისა.

შატონები ძაან გაწყრენ
პირველ გამოცხადებაზე.
ყმას და მამულს ვინ წაგვართმევს,
ხელს დავიდებთ ახლავ ხმალზე!
თავადი და აზნოური
ყველანი გავდგებით განზე.
ამისთანა ანგარიში
ადამს აქეთ არ მომხდარა.
ყოველ კუთხიდან გაისმის,
ბატონყმობა გაიყარა.
ეს რო ყმებმა გეიგონა,
მათმა გულმა გაიხარა,
შიშისაგან გამოსულმა,
ტანში მაშინ აიყარა,¹⁾
ბატონისა გადამკიდე
ჭალი ვერვინ მოიყვანა,
ახლა გახშირდა ჭორწილი,
ვილამ გთხოვა ერთი ფარა?
მოახლეები დათხოვდა,
გლეხი ქაცის სამართალსა

¹⁾ გაიხარდა.

თავზე დიღი ქვა ეფარა.
პირველმა გამოცხადებაშ
ბატონ-ყმანი აამყრალა.
ბატონი ყმას არ ზოგავდა,
თუ რამ ქონდა —შეათალა.



ულისი პოემაზირელი⁸

ჩასწერეს კომკავშირშია,
იღებს უღმერთოს წიგნაკსა,
კავშირით კიცხვა ეკუთვნის
ნამტყვენსა მთავრობისასა.
მთავრობას პირად უდგება,
იღებს პარტიის ნიშანსა;
პარტიის ნიშან უდგება
მლოცვასა ხატებისასა?
მხარდამხარ დადგნენ ქალები
კოხტად იწერდნენ პირჯვარსა,
სამჯერ დაეცნენ ჩოქტედა,
სამჯერ მოკმიჭეს მიწასა,

გენახავ, გაჰკვირდებოდით,
ბაგათ ქადების ზიღვასა,
მართა ყურს უგდებს მძიმელა,
ქებასა დასტურისასა,
საკლავა დააკვლევინა,
სისხლით ლებავდა მიწასა,
ტკბილად ისმენდნენ ქალები,
ხუცობას ხევისბრისასა
ხინჩლაშვილი ვარ დავითო,
სახელს არ ვირქმევ სხვისასა.



8 // 11/1



ფშაველების გალაშტრება მითხოვები

მითხოს ნუ მისდით ფშავლებო,
განა ქალაქის კარია?
არ არის ოქრომჭედელი,
არც იწურება რვალია.
გაიგო ლაშარის ჯვარმა,
წელს შემოირტყა ხმალია;
შაკაზმა ნისლის ფერაი
ცხენი ჰყავს ნიავჭარია,
ოქროს უნაგირ დაადგა,
ყელზე ჩაუდვა ზარია,
უბრძანა თავის საყმოსა,
მთად შემოავლო რვალია.

უჯერეთ ფშავლის შვილებმა,
ყველამ გალესა ხმალია,
შაგროვდეს ამუგაზედა,
მთლად შაკბერტყეს ნამია.

ქვახიდის ჭალას ჩაგროვდნენ,
არ დასწვდა წვიმის ცვარია,
შაუღეს ფარსნის ჭალასა,
დალიეს ფარცხნის წყალია.

გადვიდეს ტერელოშია,
მაჰგლიჯეს ციხის კარია,
გამოაბრუნეს ცხვარ-ძროხა,
გაჰყვება ქისტის ჯარია.

ნუ დაიკვეხებთ ფშავლებო,
გიჭრის ლაშარის ჯვარია,
მარცხნივა უდგა კოპალა,
მარჯვნივ ლაშარის ჯვარია,
დედაკაცი რამ მობრძანდა,
სთქვეს, თამარ დედოფალია,
ზღვასა უქნია ლეჩაქი,
არ გადმოვიდეს ცვარია,
ლელეს გორს დამიკიდებდით,
ჩემი პატარა ზარია,

თარ დაჰკრეს, ფშავში გავარდის,
პირ დაიწერონ ჯვარია.
სუ იყვნენ დაქუჩებულნი,
ჩემი პირქუში ყმანია,
ე მაგის მალექსებელი
თუშეთს ვარ თუშის ქალია,
ფშავლებო, გამომიგზავნეთ
კომლზე შიშაქი ცხვარია,
არც მე მოგაკლებთ ქებასა,
არ დამეხოცნენ ძმანია,
ნუ დაივიწყებთ, ფშავლებო,
თუ ვინ აქ დაგრჩათ მკვდარია,
მაშინის მაიგონებლეთ,
რო გედგეთ ლუდის ცვარია.



ივანე პაპიაშვილი¹⁰

ივანე ქაკიაშვილი,
ივანე იყო ხნიანი;
საჯდომი ქურანი ჰყავდა,
ქურანიც იყო ხნიანი.
საითაც რომ გაუქროლა,
ასტეხა ქარი, ნიავი.
— ივანევ, გელოდებოდი,
ლურჯა მომგვარე მხრიანი.
— მე შენი დარღი არა მაქვს,
კობალჩოში კამეჩობის
ჩამივარდა იმათ ჯავრი!
ასე წუმწუმად გახადა,

თავის საყვარელი ხმალი.
—შენც ხომ იცი, ჩემო ლურჯავ,
როგორა სჭრის ჩემი ხმალი,
ისე ჩამიყვა კობალჩოს,
არ დაახამხაძო თვალი.
გაღაახტა თავის ლურჯას,
ლურჯამ წაიღო სრიალი;
კობალჩოში რომ ჩავიდა,
გათენების ხანი არი.
კამეჩებს წამოუარა,
ჟინულიანი ღილა არი.
ყველა ივანეს დაედო
სარქალის და მწყემსის ჭარი.
ივანემ შემოუტია:
—ჰერი, დამიგდევით განი!
ბევრი კი ვერ გაიმეტა,
ხუთ ვაჟკაცს დააჭრა თავი.
დაიხედა თავის ფეხთით,
მიღიოდა სისხლის ღვარი;
კამეჩიბა გამორეკა,
შავი მელანივით არი.

ოზანაში რომ მოვიდა,
შიმშილობის ხანი არი,
ყველა იმან დააოხა
ქალწული და პატარძალი.
ყველა ღმერთს ეხვეწებოდა:
— ღმერთო, შეარჩინე ჯანი!
— ივანევ, გელოდებოდი,
ლურჯა გამიხდა ხნიანი,
ერთი ქურანი მომგვარე
შენ ლურჯასავით ფრთიანი!
ჯიბეში ფული ჩაგიწყო,
როგორც საბძელში ბზე არი.
ივანემ ტაში შემოკრა:
ეგ, ბიჭობა ჩემი არი!
გადაახტა თავის ლურჯას,
ლურჯამ წაიღო სრიალი.
საცხენოში რომ ჩავიდა,
შუალამეც კი არ არი.
ივანემ გაჭკრა ქამანდი,
თოკმა წაიღო წკრიალი,
ხუთნივე ერთად გააბა,
ხუთნივე ხუთ-ხუთ წლიანი,
ადგილიდანაც ვერ დასძრეს,

ხუთმა დაიწყო ხრიალი.
ნაცვლის წისქვილთან მოვიდა,
მარიამობის თვე არი.
სოფლელები იძახიან,
— ცხენოსანი ვისი არი?
— თქვენ რა გინდათ, სულელებო,
წუხელ ივანემ მორეკა,
ის ასეთი ბიჭი არი.



ბერდია და ხილჩლა¹¹

ბლოელ ბერდია, ხილჩლაი
სანეს შაყრილან სმაზედა.
სიტყვა რამ ჩამოღვარდნია
წინასა მტერობაზედა.
ბერდიამ უთხრა ხილჩლასა:
—ვერცა შემოგხვდი გზაზედა,
ჩემი მოკლეა ფრანგული,
ვერ ვათამაშე შენზედა!
—ეხლა ლუდი ვსვათ, ბერდიავ,
სანესა ვსხეღვართ სკამზედა,
მაგისა მაშინ ვიამბათ,—
რა შავიყარნეთ გზაზედა,

სხვას არივის უთამაშებავ
ფრანგულ ხირჩლაის ტანზედა!
დაარიგენით, ვაჟებო,
ნუ გახყრით მტერობაზედა.
სხვაც ბევრი გაგირიგებავ
სანეს ნასხდომთა სკამზედა.

სიბერეს ნუ დაიჩივლებ,
არღნით გამოსვლას ბანზედა,
სიახლე მაიგონიდი,
აბჯარ რო გესხა ტანზედა.

დაბერებულხარ, ბიძაო,
ნელნელა ჩამოლბიჯაო,
მა შენებს იარაღებსა
ისევ კარგადა ვზიდაო.



ხევსურთ ლაშქარი მოვიდა¹²

ხევსურთ ლაშქარი მოვიდა,
აღვილსა დადგა კლდიანსა.
გორაულთაზე ჩამოდის,
ხარხოს გასწირავს მკვდრიანსა.
კაცი გამოვა სანეს წვერს,
გამაივლიდა კლდიანსა.
ეფიქტებოდა ზურაბსა:
ეგ რაით მიზამს ზიანსა?
ნეტარ ქრთამს ვერ მივცემდია
მისურაულსა ხმლიანსა?
პარტიამ არ დაიჯერა,
შვილდსა დაზიდნა რქიანსა.

გაიგა ქალუნდაური,
ცხენსა გადაჯდა მხრიანსა,
ბეგენგორს ჩამეეწევის,
ჩამააწითლებს ქვიშათა.
ამანდით ამაბრუნდების,
სამანს ჩაჰყუდებს ქვისასა:
ვინც იმას გადმოსცილდების,
ცოდვას მოხკიდებს ხმლრსასა.
ბეგენგორ ქალუნდაური
ყვარნის გრილუებს ხყვებისა,
შაუგმობს ქალუნდაური,
ცუდებით შეეცდებისა.

— . —

კურდლელო, ნუ ზძოვ ყანასა.
ობლისაია, ბრალია.
თორე თოფს დაგქრავს ობოლი,
ჩემი ნულარა ბრალია.



ჯამალხანი¹³

ხევსურეთ ამბავ მოვიღა:
ამალლდა ჯამალხანიო,
ალმისკე გამოიწია,
გაწირა ხოროშანიო,
ქალაქ დალალა ელჩები,—
ნეფე ერეკლევ, ძალიო!
—ან გამისწორე ქალაქი,
ან დამინებე თავიო.
ან ქალი მამე რუსულან,
გაზღილი ლერწმის ტანიო!
ქალმა გაიგონ რუსულან,
გაჯავრდა დედუფალიო:

—ან მიპატრონეთ, შამულნო,
ან ქალ შამაბით ხმალიო,
ან ხევსურები მამისხით —
უნჯ მამის ჩემის ყმანიო!
დათუნამ ბატონიშვილმა
გადიცვა სამარჯანიო,
შახკაზმა თავის ფეხთეთრი,
ზედ შაჯდა ფალავანიო,
ალგეთის ბოლოს ლაშქარსა
გაუნახევრა ჯარიო.
შამინდევ ხვთის ბრძანებაო,
დადგა, ჩაიგა ხმალიო,
თორმეტ მამიკლავ ერ დღესა,
მიქნავ დიალა ძალიო.
ერთშა ჯეელმა მტრიდანა
თოფს დააყრივნა ხმანიო.
ცხენზეით ჩამაიტანა
დათუნა ალვისტანიო.
თმაგლეჯით ჩამაავლიეს
ბოსლამიანთა ქალიო.
სა მყავა ჩემი დათუნა,
მთელი მყავა, თუ მკვდარიო?

— კარავში გიწევს დათუნა,
ბეჭში სჭირს ნატყვივარიო.
იგვლიეთ გლეხთ აზნაურთა,
დათუნა ჩემი ქმარიო.



ხევსურეთ რა ამბავია¹⁴

ხევსურეთ რა ამბავია,
რა წყრომა იღგა ხვთისაო:
ნაჩალიქ-მოურავები,
უშიშრად შამოდისაო!
ჯერ ციმბირს გაგამწესებენ,
მემრე მოქთხოვენ შვილსაო.
ამა ქართულის მათქვამი
ბებერი ბანზე ზისაო.
გათავდა მეშვიდე წელი
შუქ არ მინახავს მზისაო.
პირიმც უჩინავ აბასა,
აბას ჩალხურიშვილსაო,

ამ ხირჩლას ბაბურაულსა,
მაგ წინა ეამის გმირსაო.
ხირჩლაი ბაბურაული
ლაშქარს უძღვების მზირსაო.
ხირჩლამც მქნე ბაბურაული,
მითხოს ტარგამის ჩამჭრელი.
ნადირა ხოშურაული,
ბევრი სახელის მაქნელი.
ჩარტია ხისურაული
ბევრაი ვაჟის დამცდელი.



მოვილა ქალლი გუცალი¹⁵

გვიშველე, ჩვენო ლევანო,
გექნებით უნჯნი ყმანიო,
მოვიდა ქალლი მუცალი,
ბეგრად მოგვთხოვა ქალიო.
ორყანას ჩამოგროვილ ჯარს,—
არ სწვდება წვიმის ცვარიო.
გაუშვით ანდარეზაი,
ვეფხვია მეომარიო!
ლვიასა და ლვთისმშობლითაო
გავიდა გირავის წყალსა,
ყმა ლურჯის პერანგითაო.
ჯარს სამჯერ შამაურა—

სახლთ-ხუცის ლურჯაითაო.
მუცალ კარავში აკაფა
ნაკუდაურის ხმლითაო,
თანა ჰყავ ფშავლიშვილები,
წკეპა ამოჭის ხმლისაო,
ასე აკაფეს მუცალი,
ყორნებს აპქონდა ბწელითაო.
გაიქცა მუკალის ჯარი,
ქალურად მიტირისაო.
მუცალის ცოლი ჰკითხავდა:
— მუცალმა რაღა ქნისაო?
— მუცალმა ვეღარა იქნის!
ტირილი დაიწყისაო.
— აკაფა ანდარეზამა
ყორნებს აპქონდა ბწელითაო.
გასტაცა ოქრო ტაბაკი,
სიცილით გაიქცისაო.
— გირჩევ, ნუ წახვალ, ვეუბენ,
მე ქალმ ვაჯობე ჭკვითაო.



თათარა ჯალაბაურის შვილი¹⁵⁰

თათარა ჯალაბაურის—
შვილს ყამარაძე ჰქვიანო.
ქავს გარეთ ციხე ააგო,
კუთხს ირმის რქანი ჰქრიანო.
აჰკიდებია ფშავლებსა,
ჰქვა მაგას არა ჰქვიანო!
მისცვივდეს ფშავლიშვილები,
ცხოვრებას აუშლიანო.
იმის ქავსა და ციხესა
სიმურაში გადაჰყრიანო.



მღვაწარი¹⁶

საწყალსა წყას თუშებსა,
საწყინოთ ეტყვოს მხარიო.
საგათენებლოთ დაეცა
მთის გადაღმელი ჯარიო.
ასე დაკაფეს ხირჩლაი,
როგორც საქადე მხალიო.
ჩქარ წადი, მახარობელო,
ხოდოვ, მოლეწე ნალიო!
შავვიტყობინე გივარგის,
წასხეს ჩეენი ცხვარიო!
გივარგი ლურჯას მოახტა,
გაპქანდა, როგორც წყალიო,

„გაიწი ლურჯევ, ტიალო,
გაიგდებინე ნალიო,
დამშრე ქურდთა ყაჩალთა,
საღ მიყავთ ჩემი ცხვარიო,
იმატე ტყვია-წიმალო,
მხრებში მოიეც ძალიო,
ეხლა გაძლების სისხლითა
ეს ჩემი გორდა ხმალიო“!
საგათენებლოთ მაჰკრიფა
ცამ, რომ გაიღო კარიო,
ტარმონის ყელში ამოჩნდა
გიგაის ვაცის რქანიო.

„ვაცავ, ოხერო, საღ მიხოლ,
საიო მიგიდის ცხვარიო?
„ვაჰმე, გივარგივ, დავკარგე,
ვეღარ გავიგე გზანიო!
ვესროლო ისრივ ვაცასა,
ვაბორიელო ცხვარიო!“
ესროლა ისრივ შიგ მოხვდა,
დასწყიტა ორივ რქანიო.
ცხენ და ცხენ შედის გიგაი,
ტრიიალებს როგორც ტარიო.

შვილნი ცხენს გააფშვნეტინა,
გასწყვიტა ყაჩაღით ჯარიო.
ამა ლექსისა მათქომი
აღვანში თუშის ქალია,
არც მე ვარ გამოკლებული
მევ იქ მამიკლეს ქმარია,
სალექსოთ გამომიგზავნეთ
მისი ფრანგული ხმალია,
თუ ფრანგულს ვერ გაიმეტებთ,
შვილი შიშაქი ცხვარია.



სოლომონ ბრძანი¹⁷

დიდება და შადლი ღმერთსა,
დიახ ბრძანებაა ღურთისა.
ბრძენი ნადირობ წავიდა,
ზღვის კუნჭულში ჩამოხდესა,
ზღვის პირზედ დასდგა კარვები,
ზღვას დაჰყვეს და დაფონესა,
იქმნა ღურთისაგან ბრძანება,
სამი თევზი მოხელესა.
წვრილათ დასჭრეს და დაკაფეს,
სამივ ქვაბში ჩაჰყარესა,
ძირით შეუნაეს ცეცხლია,
ზედ ქვაბები შემოდგესა,

ქვაბებს ხარშვა გაუთავდა,
გაღმოილეს, ქვეშ დადგესა,
ბედნიერი სოლომონი
სიტყვას მოჰყვა განსაკლელსა:
ვინც სამს წუთში მართალი სოქვას,
მისი თევზი გაცოცხლდესა!
ჯერთ ვარ ხმელეთის ხელმწიფე,
მერე მეძახიან ბრძენსა,
სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
მშრალზე ვინადირებ თევზესა,
ყინულზე კალოს მოვლეწამ,
მორევში გაღავყრი ბზესა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამბეჩებს დაუყრი ბზესა.
მაგრამ წუხელ ჩემს ლოგინჩი
უცხო კაცი მიახლესა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გამრთელდესა.
იქმნა ლვთისაგან ბრძანება:
ბარენ ის თევზ გაცოცხლდესა!

ამოვიდა, ზღვას შეცურდა,
ორი ისევ ქვაბში ძევსა.
რიგით მოყვენ სამართალსა,
რიგი ჭეზირზედ მოდგესა.
ვეზირიც ამას იძახდა:
დიდება ჩვენს გამჩენელსა!
დღეჩი სამჯერ ამას ვიტყვი,
მოვკლავ სოლომონსა ბრძენსა,
საყორელიც მე დამრჩება,
საყმოსაც მოვავლებ ხელსა,
ამოღებულს ხმალს ჩავაგებ,
შევაფურთხებ ეშკმაკებსა,
თუ ეს სიტყვა მართლათა ვსთქვი,
ჩემი თევზიც გამრთელდესა.
ვეზირის თევზიც გაცოცხლდა,
ერთი კიდენ ქვაბში ძევსა,
შიშითა და სირცხვილითა
დედოფალსაც ფერი ჰკრთება,
გულზედ უსმენ ვარდის წყალსა,
თვალებს ცრემლი გაჯმოსჩქევსა;
მემართლებით, თავადებო,
თავის გაგდებინებასა,

თორმეტი წელიწადია
კუორობ კუნწულელთ მეფესა,
ნეტავ როგორ დავრევ ხელსა.
სოლომონმა მეჯლისი ქნა,
დაპატიჟებს თავადებსა,
კუნწულელიც მოიწვიეს,
ზემოთ თავში წამოსვესა,
ბეღნიერი სოლომონი,
კიდენ მოჰყვა განსაცდელსა:
—მოგახსენებთ, თავადებო,
თავს კუნწულელს, მერე სხვებსა:
ერთი სპილენძის ჭოკა მაქტს,
მიბარია მომარნებსა,
ვინც იმას საყმოთ ამიგსებს,
საყვარელი მას დარჩესა!
გაეხარდა კუნწულელსა,
სანატრელ დღეს დაესწრესა,
დაგზანა იასაული,
ბერ ახალი არ დადგესა.
შვილი დღე და შვიდი ღამე
ანათობდეს ჭოვის ყელსა,
მერვე დღესა, რომ მოვიდენ,

კოკის ყელში დააკლდესა.

— კუნწულელო, შენც შიგ ჩაჯეჭ
საყვარელიც თან ჩაგყვესა.

საყვარელს თუ არ მაძლევთ,
ხელი მომკიდეთა ხელსა.

საყვარელი ხელს მოჰკიდეს,
კუნწულელი შიგ ჩასვესა,
საყვარელი დააგლიჯეს,
კუნწულელი შიგ დარჩესა.

გადააკრეს ზარფუშები,
დაკეტეს და დარაზესა,
მეხვამალდეს დაუძახეს,
შუა ზღვაჩი დააგდესა.
შვილი წელიწადი გახდა
ქაჯეთობა ამოსწყდესა.

ყმაწვილსა ტკბილად ეძინა
ერთმანეთსაც სწამობდესა.

წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს
მობადე და მისი ბადე.

მობადემ ბადე გადადგა,
კოკის ყელსაც მოუხვდესა,
მოსწივეს და გამოთარეს,

შშრალს რიყეჭედ გაღავდესა.
ერთმანეთს ეუბნებოდენ:
ჩვენი სარჩო აქა დევსა!
ვინც ჩვენს ბატონს გაუმუავნებს,
ჩვენი ცოდვა მაზე ძევსა.
გადახადეს ზართუშები,
ქაჯით სავსე დაუხვდესა.
ზოგი სჭრეს და ზოგი ჰკაფეს,
ზოგი წვრილად დაკაფესა,
ერთი წყალში გაუფრინდა,
წყლის ეშმაკი მით გაჩნდესა.
ერთი მინდვარს გაუვარდა,
მინდვრის ალი მით გაჩნდესა,
ერთი კლდეში გაუვარდა,
კლდის ეშმაკი მით გაჩნდესა.



ლუსუმი¹⁸

გაისთველხმელა ზაფხულმა
ბევრაის თუშის ჭირადა.
ბოსელ ავიდა ლუხუმი
ნახევარ მაგის ჭირადა.
მტრის ვაჟთა შენადირეთა
შორით მოხკიდეს თვალიო.
ჩამოვლენ გათენებისად,
შაუკრეს ბოსლის კარიო.
— ვაი თქვენს ლუხუმს, ჯეელნო,
თოფსა არ მედვა ტალიო.
არც წელზე მება ხანჯალი, —
ფეხს ესხავ სისხლის ცვარიო...
გამაიყვანეს ლუხუმი,
წინ დაოყენეს ცხვარიო.
ავლინეს ფეხშიშველასა

თვითროვილიანი მთანიო.

ქავთრის მთის გადასაესა

ლუხუმს უკვენ აქვ თვალიო:

„—ვაიმე, ჩემო თუშეთო,

დავბრუნავ აღარ ვარიო!“

ჩამოვლენ დიდოთ სოფელში,

მირგვლივ დახვიეს ჯარიო:

„ეს თუ არს ლუის ლუხუმი

დიდოთა ნიავ-ღვარიო“.

საფლავზე შამაახდინეს

რო ნაჯოგარი ხარიო.

— ლუხუმს ნუ მოხკლავთ — ატირდა

ომალოს ნატყვევ ქალიო, —

ლუხუმს ნუ მოხკლავთ, დიდონო,

ლუხუმის მოკვლა ბრალიო!

— მაშ, უნდა მოვკლათ ლუხუმი, —

მტერთ მოვასხლიტოთ ღვარიო!

— ქალო, ნუ სტირი, ბეჩაო,

ჩემ სიკვდილ ყამიც არ იყო,

კიდევ დარჩების თუშეთსა, —

მალლა შაიბას ხმალიო, —

ვაჟმა ჩაიდვას საგზალი,

დიდოებს გასჭრის თავიო!..
თუშეთ გაიგეს დედათა,
ტანზე ჩაიცვეს შავიო.
გაიგეს თუშეთ ქალ რძალმა,
დაყარეს საყურცვარიო.
„აღარ მოგვივა ლუხუმი—
მაღლა მყვირალი ხარიო“.
დაითვრეს თუშის შვილები,
ერთურთ ითრიეს ხელითა.
აუდგა მტერთ მეკოპარი
მაუბარ არ ხყავ ენითა,
თავ მოვიბრუნე, მოვიდა
თუში მიქაი ფრენითა.
თავ გასჭრა მტერთა შვილებსა,
კალთან ამივსნა ხელითა.
ნეტავი, თუშო მიქაო,
შვილიმც გქნა მამისჩემისა.
დაგატყვევებდენ ჩვენთ მტერნი,
გიხსნიდი მამის ცხენითა.
მაგით თუ ვერ მოგიხსნიდი,—
ქალ ჩემის საყურცვარითა.



ძველი ზაჩალის პეჩაგი¹⁹

შამოხტა გორელაზედა
მთვარე თხუთმეტი ღლისაო,
გულჯავრიანობს რაღამი:
„ამბავ რამ არის ცდისაო!“
გომეწრის ჭალას ჩამოწვა
შავი ლურბელი ცისაო,
ხორხისკენ გადაიყარა,
ამბობენ ცრემლი სდისაო.
იტყვიან გომეწრის ჭალას
მოკლულ კოწიწა შვილსაო,
რამაო მოკლა, ბეჩაო,
ყაჩალო, დიდის ხნისაო.

რა უყავ შენი ნაგანი,
ნაქონი აფიცრისაო?
ან შენ პატარა ვინტონკა,
ნაქონი გერმანისაო?
რად არ ესროდა ტიალი,
რატო მალავდა პირსაო?
მაშიდას ამბავს ვკითხამდი,
ხან არ დამცალდა ცდისაო.
თოფი მკრეს, ძირსაც დავეცი,
მტრისაკე ვიზამ პირსაო.



ამირანი²⁰

დედა ეტყოდა ამირანს,
თან ცხელი ცრემლნი სღიოდენ:
— ა იქ ნუ ჩახვალ ამირან,
გუშინ რო ხევნი ხვიოდენ.
იქ ან დევთ ქონდენ ქორწილი,
ან კლდეთ ლოდები სცვიოდენ.
მეორე დილა გათენდა,
ადრე იყო და ციოლენ;
ამირან მაინც წავიდა,
გზაც ისე ჩაუდიოდენ.
ამირან დევთა ეწვია,
დევნი ლრეობდენ, ჰკიოდენ.

ამირანს ქაღა შიართვეს,
კაცის ძვალრბილი სცვიოდენ,
ზედაც ლვინო მიაყოლეს,
შიგ გველ ბაყაყნი წიოდენ.
ამირანს თავბრუ დაესხა,
ჭერქვეშ რო იყო მტრისასა.
სახე იკუმშა, თვალებით
ელვას აფრქვევდა ცისასა.
დევთაც გაუკეს ამირანს,
ეძებდენ გზებსა ცდისასა,
ასტეხეს ყველამ ბაყბაყი,
ნგრევასა გავდა მთისასა.
— რა უნდა დევთა ბუნაგში,
ნაშობს ადამის ძისასა?
წამოროხოხდენ ყველანი,
სავალს უღობენ გზისასა.
ამირანი აბობოქრდა,
დიდ ტალღას გავდა ზღვისასა,
დევთა უშენდა ტყვიასებრ,
ლოდთა ნაყარსა კლდისასა,
ძალს ლოცულობდა ლვთისასა.



ტუჩას მოკვლა²⁰

ლექსი თქვი, გოგებაშვილო,
შენი გამოთქმის ჯერია,
ყველა იამბე მართალი
დროების შესაფერია.
კაის ვაჟისა საქები,
ცუდაის მოსათხრელია;
რომენ ხარ ბისოელაო,
სოფელს რო გაუწყერია.
გულ მიგდენია ცდაზედა
დედა ვაცხონე შენია!
ადგა, ჩაიდგა საგძალი,
გაღაიარა წვერია,

იშას დასჯერდით, ვაჟებო,
რაც მამა-პაპას სჭერია.
ხევსურეთ არ სწორდებიან
თოხით ნათხარნი კლდენია.
კაცი მამულზე მოკვდება,
ანდრეზ გვეონია ძველია,
ნიკალას რა ეკითხება,
რჯულ-სამართალი ჩვენია!
ფინც მიხყვა მაგათ მათრახებს,
დიდხან ვერ იყო მთელია.
ტუჩის სუჯაშვილ უბარებს,
ქალალდ აქვ მონაწერია,
გადმოდი მთისა არწიო,
ქურდი მყავ დასაჭერია.
ტუჩია ბრძანებას გადაჰყვა,
ცხენს შაჯდა შავარდენია,
საჩქარო გადაიარა
შალალ წუბროკნის წვერია.
იმ დროს ჩავიდა შატილისა,
გადადიოდეს მზენია.
შეორე დილა გათენდა
ედების სინის ფერია,

თავს ადგა უბედურება,
აღარ აქ მოსათმენია.

შუჯაშვილს სთხოვა: გამიშვი,
შინით ვარ მოუცლელია,
დისა მეგულა ქორწილი,
ქვაბია დასაყრელია!

შატილით ლურჯა წამოვა,
ფრინვლად აკლიან ფთენია;
ის კი ვერ იცის ტუჩამა,
მიმოკლდებიან დღენია.

დათვის ჯვარ მიღვა სანგალი
შინ მისაფრდება მტერია,
თოფი ხერა, გამააგორა,
დაიძრა მთა და ველია.

ბრალია კინწათ ტუჩაო,
ვერ გამოქონდას ხელია,
არვინ გეგონა დამხვედრი,
კაცი მამრევი შენია.

მაგრამ იტონკის ტყვიასა
სხვაც ბევრი გაუთელია.
დიალ, არ უნდა ჩაგრავდეს
უკაცურს — კაცრიელია,

გრალ კი არაში გედების,
ბარაქიალ ჭარგა ლქენია.
ა ეხლა, ჩალხის შვილებო,
დაგიხვავდებისთ მტერია.
ტუჩაი გყვანდათ მაგარი,
დუშმანდაღ კბილის მცერია.
ბისოს დაგეცათ ციხეი,
ჩამოგეშალათ წვერია.
არხოტის მთაზე შამოვხე,
ემაგ ლექსაის მთქმელია,
გულის დარღვებში გართული,
მოვალ და მოვიმლერია.



80 გიორგი მთვარეალაშვილი²¹

გიორგი მთვარეალაშვილი,
თოფო, გიკეთებს პირსაო;
თოფი დაუხვდა მაშლილი,
ქალებურ ტირის ხმითაო.
დედა ეტყოდა გიორგის:
— შვილო, დავმაგრდეთ ქვითაო,
ტყვია თუ შამოგძვირდების,
ფარაგს ავიჭრი ლილსაო.
ცოლი შაუგმობს გიორგის:
— ცუდავ, გამეე ხმლითაო!
თუ არა, თაოდ გამოფალ,
ქალ ლურჯის პერანგისაო,

ვაუი გამოხტა ჩარდახთით,
გამეერია ხმლითაო,
გამეერია ლაშქართა,
მკვდარს ჩაღასავით ყრისაო...
უკვირდა გიორგის ცოლსა:
„გული სდებია ქვისაო!“
ამაგ ქართულის მათქვამი
დაი ვარ გიორგისაო,
ვატარებ ღილ-სამკაულსა
გიორგის ციხის ძირსაო.
ცოლად შენ წამოგივთდი.
წესი თუ იყო დისაო.
არც რას კი თაოდ ვსწუნობდი
წამიკურაიშვილსაო.
ბევრჯელ ჩახოცა ჯეელნი,
გზა ჩაიწითა ხმლითაო.
ბევრჯერ ატირა დედანი
ჭანთეტერელის ხმითაო.



შაჩილი — მაჟარადი²²

განოქმული არის მაჟმუდი,
მისი სახელი დიდია.
გული აქვს რიყის ლოდისა,
მეფისაც არ აქვს რიღია!..
ბევრჯელ გაღურჩა ხიფათსა,
სიცოცხლეს ბეწვით ჰკიდია;
ბევრჯელ სდევნია ჯარები,
შეუკრავთ ზღვა და ხილია;
მდევნელთ თავისი გეგმები
მასთან ვერ გაუყიდია;
მდიდართ ტყავს აძრობს,
საწყალს შველს
მრისხანეა და მშეიდია,

ერთ დღეს მანგლისში გაისმა:
— „საღაზ როგოს სოქვესზ ვინაოზ“
ჩურჩული, რაღაც ჩოჩოლი
მთელ ხალხში მოეფინაო.
მთავრობას ხმა მოუვიდა,
ელვისებრ დაირბინაო:—
„კუდე-კრის ძირს ვნახეთ ქოხები.
ყაჩალ მაჰმუდის ბინაო.
ჩქარა აისხით თოფები!
ლეგავ გაგვიძელ წინაო,
აფიცერი ხარ ნაქები,
მეტი რისხვესგან ბრწყინაო,
ავჩარდეთ, ნუ ვიგვიანებთ,
იქნებ მიუსწროთ შინაო;
დღეს მაინჯ ჩავკლათ რჯულ-ძალლი,
მის დევნა მოგვეწყინაო;
ხომ ხელავ, სულსა და პრისტავს
ლაშეც აღარა სძინაო.
დავიჭიროთ და მოვგვაროთ,
ვაწამოთ იმათ წინაო“.
წავიდენ ხმალ-თოფ ასხმულნი,
ლეგა გაუძლვა წინაო.

ჭაფხული იყო, ცხელი დღე,
კლდე-კარის ტყეში ცხებოდა,
მაჰმუდი დასასვენებლად
ის იყო ქოხში ჯდებოდა.
იმისი ცეცხლი თვალები
ყოველგნით იხედებოდა,
რაღაც ელოდა ხიფათი,
თითქოს წინასწარ წვდებოდა
და გარეთ გამოსასვლელად
ის იყო ფეხზე დგებოდა.
ამ დროს თვალები გაჰკიდა,
ტყეებში ხალხი ჩნდებოდა,
მაინც არ შეკრთა, თუმცა კი
დაღუპვის ეამი დგებოდა.
გაიტორტმანა, წამოხტა,
დახვედრას ეშურვებოდა,
აისხა თოფიარალი,
საღაც რა ეგულვებოდა,
შემდეგ გადიცვა სამოსი,
როგორც ქალს მოუხდებოდა,
ხელში აილო თულუხი¹⁾)

¹⁾ თულუხი — წყლის ჭურჭელი სპილენძისა.

და წყლის გზას გაუდგებოდა.
სწორედ იმ მხარეს წავიდა
საღც ლეგა დაუხვდებოდა.
ლეგაშ უჭყივლა: „ჰაი, გიზლარ“¹⁾
„სან ქიმსან, მაჰმუდ ჰარდადი?“²⁾
მაჰმუდმა სახე იჩრდილა,
ჩამოიფარა ბალდადი,
და შემდეგ უთხრა ქალურ ხმით:
„მან არვად, მაჰმუდ ევდადი“^{3).}
ასკრდა მათ შეუმჩნეველად,
ფეხი უჩქარა მარდადა.
მაჰმუდი ტყეში ჩასაფრდა,
დინჯად ახსენა ალახი,
აფიცერ ლეგას და მის ჯარს
თავზედ დასტეხა ვაგლახი.
შაალებინა წითლადა,

1) ჰაი, გიზლარ—ჰეი, ქალო.

2) სან ქიმსან, მაჰმუდ ჰარდადი?—შენ ვინ ხარ,
მაჰმუდი სად არის?

3) მან არვად, მაჰმუდ ევდადი—მე ცოლი ვარ, მაჰ-
მუდი ქოჩშია,

მთების ლიკლივა ბალახი,
ადინა სისხლის რუები,
გზებზედაც სისხლის ტალახი,
დააწყევლინა გზა-კვალი
მაჰმუდის ფეხით ნალახი.



ხევსურული მოკლე ლექსები²³.

ოშია ნაროვანაზე,
სისხლსა წვიმს, ზეთი დარია.
ომობენ ხახიკაურნი
პირშიშველანი ყმანია.
ძალლიკას ჩამოხვევიან
ხახიკაურსა ცხრანია.
ვა, დედას ძალლიკაისას,
შინ დამრჩომია ფარია!
ბლოში გაზდილა მიმინო,
შავარდენთ ნაბიჭვარია,
უწოვავ ქისტის დედაი,
ბროლი ხორცივით ქალია.

ბიჭო, რას გადამეკიდე.
ოხ, შე ჩემო სულცავო!
თუ დამწყევლი,—მეც დაგწყევლი,
თუ დამლოცავ-დაგლოცავო.
შენი ლექსი რაღად მინდა,
ჭიასავით დასცოცავო.

ხარნო ბელანო, ხელანო—
ხანიმც გექნებათ ყვირილად!
სოფლელთამც ნუ მოუკვდებით.
ქალნიმც ნუ მოვლენ ტირილად.



। სიცილულ თხრი ცე ქო
 . იუბერიგთ უცნ— იუბერნიგთ ცო
 . ლეცილუგიგ— დაცილუნიგთ ცო
 . ფუმინ ფილი იმწველ იძცე
 . ლეცილუგიგთ თიცილინი

ბ რ ა მ ი ლ ა მ ა მ ი ლ ა მ ა მ ი ლ ა
 ! თაცუირიებ დანცენცებ ენიძებ
 კაცი მოხალა ბატონმა:
 ერეკლე აწვევს ყმასაო,
 პირი ქნან ფშაველ ხევსურთა,
 აქ თუშნი მიღვან მზასაო.
 ადგეს, წავიდეს ხევსურნი,
 აფორას ლესვენ ხმალსაო.
 გავიდეს ნაყავეჩისა,
 მაღალს თუშეთის მთასაო.
 თვალთ გაღმოსახელს იჭერენ,—
 მტერ რომელს მოვა გზასაო.
 ხუთშაბათს თენებაზედა
 მტერი გაღმოხდა მთასაო.

თარსმან დამაგრდით, ციხენოვობიდ პოინტ
ქავს დაგინაყენ კარსალით შიომებ რომელ დ
ფშავლები იმედ უდებენ, *

თოფის დაგიხვევთ კვამლს მოუღვ პცერიტ
თოფ არ მოსწონდა აბასა, ინტეგცებ თცძრი
ხელი აიკრა ხმალსა, უგირგონ ცერტ ფლუ
განათლა ბაწარაული, აიძინ თლიცონის
ცა წმიდა უცემს თვალსა, ცელი თირიგიგი
გეერდს ედგა სახლის კაცები, ამცეციგი ა
მშაველა სჭერდა მხარსა, ცეც-უცეინ იძლ
შიგ სტანავ ლულელთ შვილები, მეციგონის ნ
ერთ უძახებდა სვასაო, ამცელიც თბეულებ ჩ
„თითოცა ჩვენაც შავსწიროზ მიცუთნცით ბ
მაგათ მოკლულსა მკვდარს შორცუ გცუ იძც
ნასოსძეთაა ლერება . აიძინ ნიმზ
ამაამლერებს ხმალსაო. აიძცლოთ პირცული
რომელნიც მეეწონების, ამციგმონიც უიული
იმას შესწირავს ძმასაო. აიძცლოთ პირი
ლულელი თვალიჯაისძე. აიძიხიდეთ ძიგ ე
კარგა უჭერდა მხარსა, ბობლეთ თლუარ ე
ბლოელი მალოდინაი ამულეცით ინ
წამააბედებს თავსაო.

ცხენ თითოს გამოფრინდების,
მხედარ ორორ სჭრის თავსაო.

* * *

ეღოს ატირდეს დედანი:
მტერმ მარხეთ შეგვაშინაო.
სტუმრულად კარზე მოგვივლენ,—
ძალათ შამოვალთ შინაო.
თავსა გაგიჭრით ახლებსა
ქალებს წაგიყვანთ შინაო...
შაყრილნი ფშაველ ხევსურნი
ეღოსამ ჩამოხვივნაო,
დიჩინებ ხევსურთ შვილებსა,
ყაწიმებ დაუმდლვინაო.
ფშავლები ლეგ ლუგაები,
თოფებსამ ჩამუშვინაო.
სამციხელების თოფებმა
ეღოს ჩრდილ შამოხვივნაო.
ამ ჩვენებს მეთოვეებსა,
ძალიმც ვინ დაგვიძინაო!
პირმიც წყლით დაალბობია,
თოფები დაუგრილაო.

○

დუშეთი იყრების ლაშქარი²⁵

დუშეთი იყრების ლაშქარი,
არ სწვდების წვიმის ცვარიო.
სახევსურეთოთ წამოვა,
რო ნაგუბარი წყალიო.
არაგვზე შამოლიოდა,
არ ერგებიან გზანიო.
ლულისთავ დადგა ქვეითი,
ნაკარვევ — ცხენიანიო.
ჩვენ ლელეს მოვიმალენით,
სამოცი ფარიანიო,
სამოცსა ფარიანშია—
სამსა ძლივ გვერტყა ხმალიო.

ბაცას სუმბატას მიუდგეს,

— სუმბატავ, შინა ხარიო.

— შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,

ორნი გვტანიან სხვანიო.

ბევრი დავხვეწეთ ისარი,

იქნების ჯორის ცალიო.

ბევრი გვაქვს ტყვია წამალი,

კოდებში გვიდგას წყალიო.

ჩაბაკის ივანეჭრი, ~~ასე~~ მიადაგი თცხოვა

ბანზე გაბრუნდა ხარიო.

— ახლოს მოდექით მიგრულნი, პირცლი დცნილ
მუხლებს აღარ მაქვ ჯანიო! მინიგშ პიძლეცშე რა
მაღაქვილოსგორ ციხესა დონიშ სოფელცეცდას
კუთს არ დავგლიჯნეთ ქვანილაცშ ირიძუდობ თა
ქალნი დარანში ჩავყარენ: დუოიფონიშ ცტეფანი
შუქო, თამარი—დანიო. თიმიჩე პინცეცოც რა
არ გამამისხნათ შიგითა, ითიცნ დგთით გროვილცო
ხის არ შამიხსნათ ქარიო! თიმიმეცე— ცცელები
ჭალას ატირდეს დედანი, იმცუახვებონ ქცევა შედე
აჭეს ჩაბაკის ქალნიო.

ჩაბაკის ივანეჭრო,

ლმერთმა გაცხონა მკუდარინი! ცტოცდე ცოლს იმის

— იზმირიცე იცეონის

— იზმირიცე იცეონის

კაბატურისგორ წამოდგეს

ძიმაის ძენი ცხრანიო.

კვათეს ჩაყარეს ისარი

რო დილა ცამა ნამიო.

კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,

რო საკალმახე წყალიო.

ვინ იჯე ლორლულიანთა,

მამა წაგიწყდეს მკვდარიო!

ლაშქარსა, ჩაგუბებულსა,

ინდურ ჩაგვისწავლენ გზანიო, ასე ცეკვი
თორო კიდევ ჩაწითდებოდეს,

ინცერს ქცეულნი გზინდა.. ცოლიძენიგ ძიებიო
ზიმგუდელას დაჯდა ზურაბი,

იყიდებით კუმანიდა ინძხო ცეხიერენ ცეოლ
ცეცხაჭულა სათვალავშემ, ძვონიგ პიფიჭნლებ
იტამოცი ცხენიანიო.

ქედი იწერ იტიითლის ცეიგძეშ თემი —
იორისკაბონი

თემწენ რა იტცებ დედაგ ძაღ ქანი და გიოგი
იორისკაბ

ცეფინი ნიფცე ქაბცუბოძცენ ცნოფიერნცენ
ილიძეის

ძველი დროის ჯარისკაცის ციშლარა²⁶

პავლე ვარ ხუციანიძე, სოფელ ხონდაში
გაზრდილი,
რისთვის გამზარდე მშობელო, რად არწე ჩემი
აკვანი?

როცა შევიძლე ოჯახში სათიბ, სამკალი სახნავი,
ხელმწიფის გამოგზავნილი თავს წამომაღვა
ჩატარი.

— უნდა წახვიდე სალდათში, კენჭი გაჭვა
ამოსაყარი!

ავდეგ და იმას თან გავყე, მეტი არ მქონდა
სალსარი.

დავემშვიდობე მეზობლებს, დედამ ჩამიღვა
საგზალი,

შევეხვეწევი ჩემ ძმებსა, არ დამიქციონ სახლ-
კარი.

— უარეთ ჩემსა ლურჯასა, დაბანეთ ძუა
ფაფარი!

ახლა გიამბოთ, სწორებო; ჩემი თავს გადანაყარი.
მე ვარ ბრძოლის ველს დამრჩალი, სიტყვა
სათქმელად მაგარი;
ახლა კი ის დრო წავიდა, სულ გადაბრუნდა
მთა-ბარი.

მოვიდა სისხლისა წარღვნა, წყალივით მოაჭვს
ჩანჩქარი.

— ნუ ტირი, ჩემო დედაო, ბევრი ჩემფერი
სხვაც არი,
დამრჩალი ბრძოლის ველზედა, ყორნების
სადილ-სამხარი.

არცა გვაჭვს ჩვენთვის სამარე, არც გულზე
მიწა საყარი.

ივანეს შვილი მოუკლეს, ვაინაშია დამრჩალი,
ტიროდა მთელი სოფელი, ცოლიც იმისი
საწყალი.

მისმა დედამ, რომ ვაიგო, გულს დაიღირა
ხანჯალი.

— ვაკ დედასაცინით მდე, ეპრეზე ჩიტ იციშენი
ორდე

ნამგალი!

აღარც ტრიალებ ყანაში, მხარზე გადადის
!ირაფიცა

თავთავი.

მოგრძევდენ, ჰელარ ჰერნავდენ ბიჭები კოოლ,
დებტის დაუიმსრთ მუც მიუსმარს სამ-სამი.

მალე მოვალიშ მკაფიოდე, მომკალი აღარსაღ არი.

— გიბარებ ერთსა დედაო, — ეს არის სიტყვის
ირაბ ისა

საღსარი:

დამიპატიუე ბიჭებისა, სწორები, ჩემი ამქარი,
ყველას დაუდგი ბოთლითა არაყი წინ-წანაქარი,
დაუსხი, დაალევრნე, ყველმდ დაცალოს სტაქანი.

მინდოლუ თელებზე მიუოხორ იუსტი

.ირამნის-უიუა

ცელცე ცელ ცელის პიფამცემ ქლეიდგ დ
.ირაცის იტის

იუიმინთ დებტიცე ქცეუცონ იუიც ქლე
იმინი ცილო თუცეოს იუცინ თურ
იუცემის

ორიუით ქუცე აფიაგ ნორ ჩილცე დ
იუჯების

სალდათის შერილი²⁷

მიიღე ჩემო, ტარიგო ~~არანძის~~ ვძიმე კუციც
ჩემი მოკითხვა შრომათ
დასწერა, გამოგიგზავნა
ფრიდონმა თავის სწორმათ. ლიკ მას და
ბევრის დაწერა მინდოთ,
ნება არ მომცა დრომათ
და გულმა ბოროტიანება
ველარა მოიგონაო. თანცვა ცეცხლი
ბევრ გადარია, რა უყოფის მოვაჭრო
გერმანიასთან ომმაო.

○ დოკტორი ქადაგ ვლუპ
.თანცვლის მცდე თურმანის

მეცის სალდათობა²⁸

წუხელა ვნახე სიზმარი
დილა რომ გათენდებაო,
ყველა სალდათში მივდივართ
აბა, შინ ვიღა რჩებაო!
ომი გახურდა ფიცხელი
უერთოდ აღარ დგებაო,
ბევრ ვაშკაკს ახლავს ტყვიაი,
გუბეში გუბე დგებაო,
აიწევს ასაღომადა,
მაგრა ვეღარა დგებაო,
სულსა ლევს უწადინოდა,
სამშობლო ენატრებაო.

თავს დასტრიალებს ყორნები,
სულ როდის ამოხდებაო,
თვალთ დასთხრის უქჩერებელთა,
ვეღარა ნახავს დედაო,
ბევრისა დედა შეხდების,
ტირილით საფლავზედაო.
ქერ ნაჭამ აჯილლასავით,
შინ ჯალაბთ ალარ ხდებაო.



ონდომოყ ქნეუთილტბისე ქცათ
 აიძღვებონ პირობ უჭუ
 თოუცეცლცენც პირმისე თოუცე
 კოუცე ქცათი ირაუცე
 პირცუძცე თუცე შირეცე
 თიფცეგოუცე თოუიორტ
 თიფცეაუჯიჯა ნაფა რცნ
 აიძღვე რაუც თბილიჯ შინ

მეურის სალდათის ცხოვრება²⁹

შაირს გიამბობთ სწორებო,
 მადლსა ვახსენებ ღვთისასა,
 ფშავით მომწერეთ წერილი,
 გადმოაყოლეთ ცისკარსა.
 ახლა რუსეთით მე მოგწერთ
 ცხოვრებას სალდათისასა,
 ორ მანათნახევარს ვიღებ
 ჯამაგირს მთელის წლისასა,
 ლეგა ტოლომანს გვაძლევენ
 ჩექშასა კამეჩისასა.

მინდვრად ვართ გამწკოვებული, და მუს ა
ვაყენებ თოფის ლიშანსა,
გავხედათ ერთნი ცაზედაც ქცეტობონ ინ
მოსავალს ჩვენი მტრისასა, უც მძიმედ ჭდე
მტრის მოსვლა ჩვენი დახვედრანცედ რცე
ელვასა ჰგავის ცისასა, პინც ქცელორგი ქუცე
გააქვის კაცის თავ-ფეხი რეორ ლიმცედ
ტყვიასა ზარბაზნისასა, ასე ჩინგი როგორ
დაბლა გამაფენს პალტოსა, და მილცე თავის
ლამაზის აფიცრისასა, და მილცე მილცე ი
დაიძახებენ რუსები, ალორს იძრნოდ
სული ღმერთს, ლეში მიწასა, ასე მარტო გითცდე იფ
დაიცათ იაპონლებო, ალიბომე გაციე რი
არც კი ჩვენ ვაცდენთ ლიშანსა, ასე მიუნციცე
პირდაპირ გვიდგა ჯარები, ალგინი იუც ი
ფარებსა ჰგავის ცხვრისასა, ასე მირიც ალ
პირდაპირ დაეცემიან ალინი ილინ
გააწითებენ ქვიშასა, ასე მირი ალინ
დამართეს პარახოდები ალინ ილინ
წამოგვივლიან ზღვისასა, ალინ ილინ გიული
ვერცაით ზღვაზედ წაუვლენ ალინ ფეჩენ
ჩვენის ზარბაზნის ლიშანსა,

დღეში წყალსა ვსვამთ ერთხელა,
პურსა ვჭამთ თითო მისხალსა.

გვერდში მომარტყეს ტყვიაი:
ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა,
თან კი ვერ გადამიყოლა
ვერც გულს აგრილებს ყმისასა.

ხუთით გატენილ თოფი მაქვს
ჯავრს როგორ შავჭამ მტრისასა,
ოთხი კი კარგად ვესროლე
უჭერდი გულის ფიცარსა.

მეხუთე დამრჩა უსროლი
ძნელადა ვხედავ ლიშანსა,
სახეს არ ვიყავ ცნობილი,
მე ჩემი ფეთებლისასა.

მოვიდა, ხელი ჩამავლო,
ძილს მავედრებდა ღვთისასა,
ხელში ეჭირა მაჟარი,
შუქს აყენებდა მზისასა.

მხარ იღლივ ხმალი ეკიდა,
წვერ უწვდებოდა ქვიშასა,

როგორლაც ამბავს მიამბობს,
ძველებურ ჯარებისასა,
კარგად ვერ გამოვიტანე
ვიტყოდი სიმართლისასა.



მეცის რუსთან ღმშევრი

1914 წელსა,
დახე რა მოხდაო,
რუსეთი ომსა აპირებს
ავსტრიასთანაო.
ოთხავ-კუთხივ გზები შეკრა,
დეპეშა დაჰკრაო,
ბრძანება იქაც მივიღა
საგარეჯოსაო:
უნდა ავკრიფო „ზაპასი“
ამ ორ-სამ დღესაო.
ის ჩვენი მამასახლისი,
კოჭლი ფაჭელაო,

როგორც რომელგაგიშეტული, თ ნორ მცდ —
აგრე დარბოდაო, ლიტელების ას
ატყობინებდა ყველასა, უცნცენის ცეცხლ იჩნდი
ნასალდასტრებსაო. ლიტელები ძლიერ
ბიჭებს თავი მოეყარათ უცნცენის ინულიცოთ ნი
დუქნის კარზედაო, ლიტოდიცებონ ას
მამასახლისი ფაქელატან-ფით იყო რეაქტ
ლვინოს ასმევდაო, ლიტიტეცები უსუ
რომ დამინახა ფაქელატანის ქამიცეცხლის
აღარ გამიშვაო: ლიტიტეცები
— ადე ბიჭებო, წავიდეთ ამონია იჯიურიძე
პატარძეულსაო. ლიტიტეცებითი თუ
გამოცხადება სჭირდებოდა ლიტოდი ტოვა
ჩვენს ნაჩალნიკსაო. „ლიტიტეცები ცეც
პატარძეულის რიყეჭმონ ისცევები თუცეც
ხალხის ბრძო იდგაო, ლიტეცები იმ შეცეც
ტიროდა მთელი სოფელი უსუ ქამიცეცხლის
ცრემლი იღვროდაო. ...ლიტიტეცები თუცეც
ბევრისა ცოლი ტიროდა თხოვის ისიც
და ბევრის დედაო, ლიტიტეცები შიბონბიძე
და ბევრსაც დანიშნულები ქვით ისცეცმინი
ყელთ ევლებოდაო: ლიტიტეცები

— შენ რომ ომში წაგიყვანონ,
რა მეშველებაო,
ჩემი ხუგეშისმცემელი
ვიღან იქნებაო.
იმ დაღუპულმა ხელმწიფემ
რა მოგვიგონაო,
ქალი, კაცი, დიდ-პატარა
სულ აგვატირაო.
ჩამოგვიყვანეს ქალაჭში
ნაჩალნიკთანაო,
ნაჩალიკი გამობრძანდა
და გაღმოგვძახაო:
„ვოტ მალადეც, რებიატი,
ვსე გრუზინიაო“.

ყველა გაგვწერა პოლკებში
ყველას გზა მოგვცაო,
ჩამოგვიყვანეს ყარსშია,
გული დალონდაო...
კვირა სალამო დალამდა
ვახშმობის დროაო,
კამანდერი თავს დაგვადგა.
გამოგვიცხადაო:

დღეს ტელეგრამა მივიღე
ხელმწიფისგანაო,
უნდა წავიდეთ ხვალ აღრე
ჩვენ საომრათაო.

ეს რომ სალდასტმა გაიგო,
ძლიერ დაღონდაო,
ყველამ მისწერა წერილი
თავის ცოლშვილსაო:
მშვიდობით, ცოლო და შვილო,
ჩემო დედმამაო...

გათენდა მეორე დღეცა
უბედურ დილაო,
კაზარმის წინ შეგვაჭუჩეს
მთელი „ვაესკაო“.
იმ საათში გაგვამგზავრეს
საზღვარისკენაო.
ორას ორმოცი პატრონა
ზურგზე გვარტყიაო:
პალტო, შინელი, პალატკა
და მრავალი სხვაო.
ხუთი დღე-ლამე ვიარეთ
ჩვენ საზღვრამდინაო,

თათარი ახლო მოსულა, ანიგლენტ ქცეფ
ძალზე გვიდგებაო, ანძიგიდიშნლებ
შევეჯახენით ერთმანეთს, ლითა უნდა თცეიფებ თემც
მოგვისდა სროლაო, ანიდინოს შევ
ისე მოდიოდა ტყვია, დეტაქტულ ნორ ქც
როგორც რომ სეტყვაო: ანიმოლი რციობ
ზოგს, ტყვიისაგან დაჭრილსა, იუნიც ლიც ჩაუდეს
გულთ უღონდებაო, ანიპლიქტურ ქივი
და ზოგიც, გულგახვრეტილი, ანიმოლიქნ
მაშინვე კვდებაო.

გასწყდა ხალხი ეცეფ ცოლებ თემციად
და სოფლები ანიდ ცოლებ თემციად
სულ გადაიწვაო, ქცელიდებ შიშ ქინისძინ
კვდებოდა ქალი და ქაცი, თაქ ქცი იუცინ
დიდი პატარაო. ანიგიძნდებათ იწრდას ნი
ორთავ მხარე დაზარალდა, ანიცისიცებას
ბევრი დაიჭრაო.

ისე ყრია მინდვრად მკვდარი იმონით ქცელ
როგორც რიყის ქვაო. ანილი იუცინ ანტონ
ამაზე მეტი მხეცობა, ანიც იუცილნ თუ
სად გაგონილაო.

○

ანირიც ცნოუ-ცუფ ისუდ
ანიძიონილენდებას შევ

“თერმილუ” ქადაგ
მეფის სალდათობა³¹ ასეთი
ლიცენზი

ამდგარა ქვეყნიერება ქველობ თევზიტობ “ის
ყველა ხემწიფეო,
ერთმანეთს ეომებიან დენიც მაცე იმა
ამ მიწაწყალზეო.

მეც სალდათად წამიყვანეს, მონა მძღოლობდე
აი, რა ვნახეო,
საათის ათზე წავედით ცხ. პიროვი უი
ოსმალ.ის ომზეო.

წინ აფიცრები მიგვიძლვის,
მივდივართ ფრონტზეო,
ყველა ჯარი იქ მივედით,
თათრის საზღვარზეო.

მივედით ციხესთან ახლოს
ჰასანყალასაო,
სისხლის ღვრას იქ მოველოდით,
კიდეც მოგვიხდაო.

სეტყვასავით მოდის ტყვია,
ვრნ გადარჩებაო,
ხოცამენ ერთი მეორეს,
ნეტავ რისთვისაო!

დაიძახეს „ურაზედა“,
ყველა გაიქცაო,
„პიხოტა“ შტიკითა ხოცავს,
ყაზახი ხლმითაო.

თათარი უკან გაიქცა,
ჩვენმა აჯობაო,
ჩემი თვალით ნანახს ვამობ,
გაგონილს არაო.

მიხეილ იაგორის-ძე
პაატაშვილსაო,
დასთვლია სიცოცხლის დღენი,
ვერ გაუგიაო.

წამოვიდა შრაპნელი
მეხივით გასკდაო,

წელი და ფეხი მომტება,
წორციც მომგლიჯაო.
გული არავის ეწოდა,
არვინ მომხედაო,
ვაი, რა ძნელი ყოფილა
უპატრონობაო.



მსუნაგი ღვდელი³²

დასაქცევი ჩვენი ღვდელი
ტანში არის მეტად სქელი,
სანამ ტაბლას აკურთხებდა,
უმალ გაისველა ყელი.

ეს ღრიალა და ოხერი,
როგორ აცმაცუნებს წვერსა,
საღაც ტაბლა ეგულება,
იჭით მიაჭენებს ცხენსა.

ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს
და ქოთანწი ასხამს წვენსა,
ნაზუქს ფოფოდიას აჭმევს,
გამტკიცულებს კი ქათმებსა.

ორიოდე წნელი ვწყვიტე
ჩვენებიანთ მსუნავ ღვდელსა,
„მამაოჩვენო“ ვამღერე,
ამბობს, მოვიპარსამ წვერსა,
თუ მართლა არ გაიპარსამს,
ვაი იმის დედის ღმერზეცი იყვენის

O

ორუცხმიდი ინ
ოსპუნძშ შიგით ქვემცუ
. ასულიშვილ თებოძეც
· თავმალჯ თენიძე
· თავმოლენიშვილ
· თავმაცეკ პრეჭი ი
· იგროიგ პილჩიძე ფედიგ
· თავსენი დმიტრიანი
· თავიშენ ჰილოვანი
· თავმონძი ქალცი ქ
· თავმურვა ლანძფ ბერი
· სეგეროვან ინი
· თავმალჯ შალბირი თალე
· თავმონძი ქალცი ქ

କରିଲେଣ୍ଡି ଉତ୍ସବାଳୁଙ୍କି ୩୨

କିମଳାଶି ପ୍ରାନ୍ତେଜୁରୀ
ଲାଗେ ଲେଖାଯେ ତାଙ୍କିଲେ କମାଲସାମ,
ଭେଦା ପ୍ରକଟିତିରେ ସାହିତ୍ୟାଲ୍ଲାମ,
ମାମା ପ୍ରଥାମଳା ଜଳାନ୍ତ୍ରିମା.
ଫାମ୍ବା ସାତ୍ତ୍ଵାଵଳୀଲୋକାମ,
ମାମିଲା ପିତ୍ରରେ ଜ୍ଵାରୀଲୋକାମ,
ଫାଲମ ଗାନ୍ଧେର କିମଳିଲେ ଗିରିରୁଗି,
ତାଙ୍କିଲେ ପ୍ରକାଶିତିରେ ପ୍ରମାଦିଲୋକାମ,
ମିନ୍ଦୁପାତ୍ରିତା ମାମିଲିଲେ ଶ୍ଵିଲୋକ,
ମାର୍ଦାଶିତାଵଳିଲେ ଗଢିଲୋକାମ.
ମୁକ୍ତିକିଲେ ଲେଖାଶ ହାମିକଟିଲା,
ଲାଗାଵଳେବ, ପ୍ରଶାମ, ତପାଲୀଲୋକାମ,
ହାମାଏହିଲେ ଲୁହିକୁରୁଶା
ପ୍ରାଦାତାବିରତ ମତିଦଲିଲେ ଜ୍ଵାରୀଲୋକାମ.
କମାଲିଲୋକାମ ପାରିତ୍ରାନ୍ତିରାଲୋକାମ

ფეხქვეშ მგორებსა მკვდარსაო,
ჩაივლის ღვთისმშობელშია,
დაჯდის დარბაზის კარზედა,
შაჰიკვება ხოშარაული
აღარა ზოგავს თავსაო.

მარცხნივ კელეპტარს შაიტანს,
მარჯვნივ შაიბამს ხმალსაო,
გაუქნევს ივანეური,
გაურჭობს კელაპტარსაო,
გაიქნევს ხორაშაული,
გააგდებინებს თავსაო.
თავს მოსჭრის ივანეურსა,
შარეკს ხატისა კარსაო,
ივანეურის ფრანგულსა
ქალაქს უსინჯვენ პირსაო,
ირიგებს აზნაურები
ხმალზედა პკვეთენ ძვალსაო.
ბასრი ყოფილხარ, ფოლადო,
თუ აგრე სჭრიდი ძვალსაო,
ნეტავი შენი მჭედელი
ველარის იქამს სხვასაო?



ასულიათებ ნ ენდოგნ ნ ცხენდედ
რინ უცმინშნ პიონერ
აუცმის პიზიტივუ ქიოჯით
ოუცმის მ არცენი
ასულიათ ქვედომ ისინი
ქ პირიან პრიტრულ გამძერი
ასულიათ შინიან გიმეჯრი
ირცცმით ქვეძენდედ

საღრა ხარ, თჩემულ აუცმის პრიტრულ აუცმის მ არცენი

საღრა ხარ, ჩემო ნადობო, ასულიათ ქვეძენდედ
შაკრულო ვარდის კონაობის ცმილი პირები ქვით
მე კი ძალიან მიყვარხარ, თასტიც ამიტი ქვეძენ
შენ კი აროთა გვონაო! იუცცმით პირცცმიდედ
რათ ვიყავ ასე უილბლრიასტინ მცდების ქვით
შენს თავს რამ მომაშორაო? ინცრუამძი ქნევიო
ვაიმე ჩემო ნადობო, ასულიათ მცდელენ თუცმეული
რა საქმე გვიყვა დრომაოხულფ ტიბუის ისინი
გულით ვინატრი შენსენახვას ითირებს ცრდა ცა
ტყეში ფოთლებზე ვგორაო უცეცნ იმეტ იყიტებ
აქ რო ვიფიქრო, ჩვენს შუასაფერს ქნირი ქართველ
რამთვენი მთა და გორაო!



იქნება მამკლან, ლამაზო,
 მიწას დავეცე ძირზედა,
 მამცვივდეს ჯოგი მგლებისა,
 მათრიონ წყლისა პირზედა,
 ვგონავ მაშინაც ვიფიქრო,
 სიცოცხლეს ვფიქრობ შენზედა,
 სულთანი პეტელაზური მისცა ასახელ
 წამუალ შორს მანძილზედა,
 ხელების ქნევით დაგლულების კუცინი ფაფი
 მოგაფრინდები პირზედ, კონც ჩორ ცხრუცე
 ან ლამის სიზმრული ფიქრევი უძცხებდ ჩორ, ცე
 მოგივალ დაძინებულსა, ქოჩიუ სიძიე ძენ
 და გადაგისხნი წყნარად ქორწინ აძლევდე
 გულს თეთრად გაბრწყინვებულსა, დ იუცდ
 შენ კი აღარად გახსოვარ, —
 მე კი გწერ როგორც დრუთგულსა, რო აუით
 ეს ლექსი დაუბარებავ, უცმონძირ აუკიბ წენ
 ქალო, შენს დავიწყებულსა: გ არის ასიცი
 უცხო მხარეში ნამყოფსა, უცონავ ეიძინოჲ
 ფშავიდან გადაგდებულსა: მცუცდ ინცუცდ
 ○ ა. თამარ ქორწინ არცებ თაც

თვალჭრელო, ყვითელთმიანო³⁴

თვალჭრელო, ყვითელთმიანო,
გულზე რამ ჩამოგეფინა?
მე, რომ გეძებდი გორის-გორ,
შენ ციხის ლიბოს გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძი,
გული ბროლისა გეჩინა!

— • —
დილა რომ კარად გამოველ,
მზე მაღლა წამოსულიყო,
ციხისა კარა გამოვხე,
ლამაზიც გამოსულიყო,
ხელები გელებ ინითა,
ყელ ყური ოქროს შიბითა.

ლამაზო, შენთან ძილითა
 ბედიანაი გაძლება!
 ლამე ხარ მარაგიანი,
 შზე მოფენილი—დილითა!
 წყარო ხარ უკვდავებისა,
 ნაღენი ოქროს მილითა!
 შენ რო გავეჭრენ საყელო,
 შაგეკრა სამის ლილითა,
 სამივ ვხსენ, ერთიც ვერ გავხსენ,
 სამივ დაგილეწ ქბილითა!
 მეორეს დილას შემოგხედ,
 არა გეტყობოდ, მიკვირდა!

მთას ჯიხვნი გადმომდგარიყვნენ,
 ჯერნები ჩვენდა ხედვათა,
 მწადიან ალარ დგებიან,
 თავის ადგილის ხედვათა.
 ყელს უყრი ოქროს ჯაჭვები,
 იმით დავაბათ მაგრათა,
 რქა-რქაზე გადაუხვიავ
 მდობიარეთა ჰგვანანა!



ՑՈՒԺԱ ՌԵՎՏԵՑՈ³⁵

Ելուսա և մելուսա,
Տաելո դաշդցո մելուսա,
Տամորչացո զերպելուսա,
Այրա մարգալուտուսա,
Մուդա հմալո մռապանց
Ցեղնոյրո ցյեխուսա,
Մռուպոյըծա-Ֆահմակոծուս,
Կարցո մուռճնց երեխուսա.
Ծուլաս Ծածո դամբյարցա,
Տալամուսա պղղուս եանո,
Առ պոտուլա կարցո ցյեխուս,
Առ դաշդո լուլո եանո.

— . —

კახეთს, ბათოშის, კურმუხეთს,
დათვი ტყესა ღიღ ვაკეს,
აჭარილგან წამოსული,
გარეოდა სხვის ჭაკებს.

— . —

ვესროლე ქველი,
გამოხტა მგელი,
ვესროლე კელი,
ჩოვსტეხე წელი.

— . —

აქედგანა მე მივეღი,
იქილგანა ციციანი,
ამისთანა ვის უნახავს —
ქალი მორბის კვიციანი.

— . —

უმთაურსა მთაზედა,
უგზაურსა გზაზედა,
ერთსა ფურსა უშობელსა
ქვიცი ექნა გზაზედა.
კარგი გამოსაცნობია,
ნიკორი აქვს ყბაზედა.

ისეთი ქარი მოქროდა,
ქვიშა და ტვერი მოპქონდა,
დალესტნიდგან გადმოსული
შემწვარ კურდლელი მორბოდა.
პირსა მოაკლაპუნებდა,
ზარას მოარაკუნებდა,—
ცოტა ცოტა შეგვაშინა,
ფირცხლად შემოგვახტუნებდა.

— · —

გავხედე გაღმა გორასა,
სიცილი არის ტყარცალი,
ხოსია გოგორიშვილსა
წამოუხურავს საბანი.
ხოსია გოგორიშვილო,
ჭკუიანო ბრძენოსაო,
გუშინ რა კარგად იყავი
დღეს რაღაი გეოცაო.
სასახლეში რომ ჩამოდი,
ყველა კაცსა ეოცაო,
ერთმან პანლური ამოგკრა
შეორემ კი გაკოცაო.



ჩალი თინათინ³⁶

ქალი თინათინ სტიროდა
შუა ქართლისა გზასაო:
ქმარმა გამრისხა, გამავდო,
როგორ უშველო თავსაო.
ომიღვან ლაშქრით მობრძანდა,
შუალამისა ხანსაო,
წყრომითა შემომიძახა:
„რათ არ გამიღებ ქარსაო?“
ავლსდექ, ავანთე სანთელი,
ფირცხლავ მივარდი ქარსაო,
ოქროსა სკამი დაუდგი,
—დაბრძანდი, თქვენსა მჩესაო!

ჩექმის სახთელად ვიახელ,
შუშტი მიღირა ყბასაო.
— ალსდექ, შენ ბოზო დიაცო,
რათ არ გაივლი კარსაო?
ალვსდექ, შევკაზე შავრაი,
შეუდექ შავსა მთასაო,
ღმერთო, უშველე მეცხვარეს,
მეცხვარეს, მისსა ცხვარსაო.
გამიდვა კინისა კავი,
ისე გამასხა ზღვასაო.
უკუ ვიხელე მომზდევდა,
მოაელვებდა ხმალსაო.
კრულ იყოს მისი სახელი,
რაც ქალი ენდოს ქმიარსაო,
კოხტასა, ამპარტავანსა,
უწვერულფაშო კაცსაო.



ლაღსა, მუვენიერს ჩაშკაცება³⁷

ლაღსა, მშვენიერს ვაჟკაცსა,
ომი ქორწილი ჰერნია,
თავმოყვარეობს ჭაბუკი
სიკვდილი ძილი ჰერნია,
ჩაწოლა შავსა მიწაში,
თავის ლოგინი ჰერნია,
ზედ მოყრა შავი მიწისა,
თავის საბანი ჰერნია.
ტანზე ჭიისა ახვევა
თავის ობლები ჰერნია,
ყელზედ გველისა მოხვევა
მეუღლის მკლავი ჰერნია,
თავმოყვარეობს ვაჟკაცი,
ჭირი სულ ლხინი ჰერნია.



ლ ბაზაშებ³⁸

ნუ მაწამებ, ერთხელ კარი გამიღე,
შამიბრალე, მანიფესტი მაიღე!
რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია?
სად ვიჩივლო, რუსთაველი მკვდარია!
რომ იცოდე სიყვარულის ღმერთია,
შენა მყევხარ სალოცავად ერთია!
როცა მოვკვდე, მიწაში რა ჩამყვება?
მარტო ერთი შენი ფიქრი გამყვება!
რაც მომივა შენგან, ჩემზედ ახია.
გთხოვ დაესწარ, ვიყო დასამარხია.
როგორც რო მე ვხარობ შენსა თვალებზე
შენც მაცილე მკვდარი მიწის კარებზე!

მიწად ვიქტე, ნაცარ-მტვერად ვხდებოდე,
მხოლოდ შენ კი ცოცხლად იარებოდე!
სტუმრები ვართ წუთისოფლის ხანაში.
მოვისპობით ერთხელ ამ ქვეყანაში.
რათ მოვედით, ანუ რისთვის გავდივართ,
დარღიანად თუ მიწაზე დავდივართ?
ეთიმ-გურჯი გლოცავს, იყო მჩეშია,
შენ ჩამაგდე ტაიათნოვას დღეშია.



ქარგი ხარ, თადიაურო³⁹

ქარგი ხარ, თადიაურო,
განთქმული ქვეყანაზედა,
სიმშვენიერით მოსილი
მჩის სხივ გაღვება ტანზედა,
მაგრამ მოგიხდა შემოხვევა
თავის მეზობლის ქალზედა,
მისთვის გაგიწყრა სოფელი
ალარ გივლივენ ქარზედა,
არც გამარჯობას გეტყვიან,
რო შეგხვდებიან გზაზედა,
გიბარებს გოდერძის ქალი:
რად შარცხვი ქვეყანაზედა,

აღარ შეგერთვი ცოლადს,
რაკი გამცვალე სხვაზედა;
იწყინა თაღიაურმა,
ამჯარ აისხა ტანზედა
წავიდა ქისტეთისაკე,
დადგა სახელის ქნაზედა.—
ახალს გოდერძის ელენე
იყო ჩემს პირობაზედა;
ახლა კი უნდა წავიდე,
სისხლი დავლვარო მთაზედა.



ბაჭიამ სთავა⁴⁰

ბაჭიამ სთქვა: ღმერთს შევცოდე,
უქმე გავტეხე კვირასო!
საწყალი გლეხის ყანაში
სამკალად დამიპირესო.
იქ თურმე სუნი სცემოდა
ვილაც წუწკ მონადირესო;
მომძებნეს, დამიცაცხანეს,
მიკივლეს, მომაყვირესო,—
მეძებრებს გამოვეძეცი,
მწევრებმა დამიჭირესო,
ტყავი გამაძრეს, გამწელეს,
უწყალოდ დამამცირესო.

უეხით დამკიდეს თავდალმა,
კერაზე მიმაშვირესო,
შემწვეს და ჩამახრამუნეს,
ლელიკო ამიტირესო.



თაულავნელი ჭაბუკი⁴¹

თაფარავნელი ჭაბუკი
ასპინძას ჭალსა ჰყვარობდა,
ჭალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ჭაბუკი წყალში შეცურდა,
მიდის და მიუხაროდა,
ცალ მკლავზე გელაზი¹⁾ ეცვა.
მარჯვენას ისე ხმარობდა.
ჭალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულმყრალი ბებერი

¹⁾ გელაზი—წისქვილის ჭვა.

აქრობლა, აბეზარობლა.
ჭაბუკი წყალმა დაახრჩო,
ზედ ნიაღვარი ჩქარობლა,
ჭაბუკის ძუძუ მკერდზედა
ორბი იჯდა და ხარობლა.



სატრიბულო¹²

მესმის რომ თვალათ ტურფა ხარ,
მერმეთ გულითა შაქარი.

ობოლი მარგალიტი ხარ,
ალმასის ჩამონათალი.

ჯერ თვალით არ მინახავხარ,
ჰებაც ვერა ვსთქვი მართალი!

ვითომ წუხელი სიზმარში
წარბი მაღლა აგეყარა,

ოქროს თასი წინ დაგედგა,
შიგ შაქარი ჩავეყარა,

ორი წნა გიშრისა თმანი

ზედ ბეჭებზე დაგეყარა,

ერთი წერილი მომწერე,
შენი ჭირი შემეყარა.



რძალდედამთილის ბრძოლა⁴³

სისინეთიღან გადმოვედ,
გადმოვჰყევ ქარის ქროლასა;
მეამც ნუ დავტანილვარი ¹⁾
ზალ დედამთილთა ბრძოლასა.
ტარსახრელ ²⁾ დაამტვრივიან
ერთმანეთისა ბრძოლასა.
ზალმა ³⁾ აჯობა ბერასა,
თავი უხალა კერასა.
— ზალო, ნუ მოჰკლავ ბერასა,
შენი ძმებისა ლხენასა!
— როგორ არ მოვკლავ ბერასა,
ქათმებ დამიჭმი ძერასა.



¹⁾ დავტრებივარ, ²⁾ მატყლის სართავი ხელსაწყ-
ყოები, ³⁾ რძალმა.

თინათი ალე-ეალეო ۴۴

თინათი ალე-მალეო
რამხელა მოგიყვანეო!
სულ ამ ჩემ მკლავზე გაგზარდე,
ბალიშს არ მიაკარეო.
ძოწეული ტანთ ჩაგაცვი,
ფარჩა არ მოგაკარეო,
ხოხბისა ხორცი გაჭამე,
ქათმის არ მოგაკარეო.
სულ ხაჭაპური გაჭამე,
მჭადი არ მოგაკარეო,
ბროწეულის ღვინო გასვი,
რცხილის არ მოგაკარეო.

თფრინდი და გამიტრინდი,
მე რდღა დამიბარეო?
ხმელეთი სულ დავიარე,
ვერ ვნახე შენი მგვანეო.
საფრანგეთში გადმოვედი,
ცისკრის ლოცვაზე ვნახეო,
ხელთა გეჭირა ყმაწვილი,
პირიც არ დამანახვეო.



ელი ელამდა 45

ელი ელამდა,
ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა პირასა
კარავი იდგა.
შიგ ქალი იჯდა,
ზარი ეხურა.
ზარი ავხადე,
სამი ვაკოცე,
სამის კოცნაძა
ფერი უცვალა,
ფერის ნაცვალმა
წიგნი დასწერა,

ვის გაუგზავნა?
ლავით მეფესა.
შიგ რა ჩასწერა?
ქამხა ატლასი.
რა მოუვიდა?
დიბა ატლასი.
რაში გარეცხა?
შაქრის წყენშია.
რითი გააშრო?
ქარ-ნიავითა.
რით ჩამოილო?
ჯორ-აქლემითა.
რითი გამოსჭრა?
დანის წვერითა.
რითი შეჰკერა?
ნემსის წვერითა.
რითი ჩაიცო?
სიხარულითა.
რით გაიხადა?
ხორცის გლეჯითა.



ჩემო საშშობლოვ 48

ჩემო საშშობლოვ მთაგორო,
მიღამოვ ველებიანო,
ქვევით ხევებო, გარშემო
სულ მუდმივ თოვლო წყლიანო,
გაღმა გამოლმი კლდეებო
და იქვე ჯიხნო რქიანო,
მაღალ გორაზე სამებავ,
ირგვლივ ველებო ტყიანო.
მაღლა ასულო მყინვარევ
სულ მუდმივ ყინულიანო,
ქვევით სოფლებო ხევისავ,
ველებო მუდმივ ცხვრიანო.

იქვე ჩვენებურ მეცხვარევ,
სულ მუდმის ქვეყნად მტრიანო,
სალი კლდით გამოზრდილი ხარ,
ორბო შე მძლაო მხრიანო,
მტკებისთვი მუდმის მზათა ხარ
სიმაგრევ სპილოს ძვლიანო.



მჟის დაგნელება საჩართველოში⁴⁷

ათას რვაას ორმოცდა თერთმეტსა წელსა
ივნისის თექვსეუტსა დღესა
და ერთსა მთვარესა,
მეცნიერები გამოჩნდენ,
ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფელში გამოამცხადეს,
დალამდება შვადლისასა!
სოფელი ძლიერ შეშინდა,
დაემხო დედამიწასა.
სულ ჩვენი ცოდვით მოვიდა,
პასუხს არ ვისმენთ ლვთისასა!
ზოგზოგი ერთად დგებიან,

ზოგნი მიღიან ლვდლისასა,
ეგებ ლვდელმა გვიპატიოს,
წერილს კითხულობს ლვთისასა.
ტაბლისგან გასუშებულნი,
სათბილოს ჭამენ ცხვრისასა,
ალლიშობასა იწყებენ
თავისი მოწაფისასა,
მოწაფეს რომ არ ზოგავენ
ჩვენ რას ვიწაშებთ მისასა!
ილიას ჩვენ რას მოუგებთ?
ლურბელს დაუძლვის ცისასა,
თუ უნდა ზღვასაც დააშრობს,
შიგ გამოაჩენს ქვიშასა.
დასალმებას მოვესწარი
მთვარისასა და მზისასა,
ერთმანეთს პირსა კოცნიდენ,
ამბავს ეტყოდენ გზისასა.
არ ვიცი იყო სალმობა,
არ ვიცი ჩხუბი ვითარცა.

○

პი ჰაი, მუთისოფელი ⁴⁸

ტიალი წუთისოფელი
ხილვას არ გვაკლის მჩისასა,
უდროვოდ გადაგვაქცევს კე ¹⁾
მგზავრსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჭრნობს კე კაი ყმას,
ბევრს ქალს ვარსკვლავსა ცისასა.
როგორც მზე, მოჭრილს უდროვოდ
ნორჩა აყრილსა ხისასა.
კაცნი ვართ, მაინც ვიღხინოთ,
გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ხედავთ სხვისასა.



1) ნიშნავს „ხოლმეს“.

სიკვდილი⁴⁹

ციდან ჩამოწყდა ვარსკვლავი,
დაბლა დაეცა ბარსაო;
ღმერთმა დაგწყევლოს, სიკვდილო,
დახვალ ეშპაკას გზასაო.
შეხვალ, დიღგულად დაჯდები,
დედის ერთაის თავსაო,
შესვლით ვერავინ გაიგებს,
გამოსვლით გასტეხ ჩქამსაო.
სიკვდილი ჩაგოძისა
თოფივით იზავს ხმასაო.
დამგლოვდა მთელი ალვანი
ტანზე ჩაიცვამს შავსაო.

სწორები აღარ სწორობენ,
შეეჭმევიან თმასაო.
ცოლის ტირილი უხდება,
როგორც ქუხილი ცასაო.
კრძალებით ეტყვის სიტყვასა,
მშვიდობით, წადი გზასაო!
არ დაგიჩაგრავ შვილებსა,
არ შევანატრებ სხვასაო.
თითონ ჩავყვები ბინაში,
თითონ ვადოლებ ცხვარსაო.
შენსა სახელათ დავხვდები,
ვინც მოვა ბინის კარსაო.
არ დაგიუანგებ თოფხმალსა,
ცხენს არ მოვაკლებ ნალსაო.
ქისტეთ ამბავი წავიდა,
დამ დაუძახა ძმასაო:
— რას მომცემ სამახარობლოს,
ამბავს გიამბობ კარგსაო?
თუშებს მოუკვდათ ბათქაძე,
ვინდა შეგიკრავთ გზასაო.
დიდგულათ გადმოლალავდეთ
თუშის ცხენსა და ცხვარსაო.

— რაც შენა კარგი მიაშენ,
ლმერთი შენ მოგცემს კარგსაო.
სთქვა ერთი, ვაი დედაო,
თან მოიწმენდღა ცრემლსაო.
ვინც რომ გაიგო ეწყინა,
არც არა მისცეს ქალსაო.
ნუ თუ რო ლმერთი მოჰკლავდა,
ემაგისთანა ყმასაო.
პირი სახენი ბროლს უგვანდ,
გული რკინას და ქვასაო.



ଓଡ଼ିଆକୁ ୫୦

ଜୀବନକେଣ ମେତ୍ର ବିଷ୍ଣୁଙ୍କ ଲାଶାର୍କୁ,
ଓହ କୁଳତ ଶ୍ରୀଶିଂହ ବିଜନ୍ଦନଦି,
ଶାମାଜିଳ୍ଲା ତାଙ୍ଗିଲ ପାତାଲମା,
ମହାରାହି ଶାଙ୍କିଳିକୁଳଦି,
ସାତ୍ରା ଧୂର୍ମିଳିଙ୍କ ଅକ୍ଷ୍ମାମଦିଲ୍ଲି,
ଉଠିନ ମେ ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତରିନନ୍ଦନଦି,
ରା ବଜ୍ରନାମ, ରିମନ ଲାମାଚିନ,
ରାତ୍ରିଗାନ୍ଧ ଲାମିତା ବତିବନ୍ଦନଦି,
ରିମ ବାର ମଶିଏରା ପ୍ରସିଦ୍ଧିଲ୍ଲି,
ମେ ରା ସାଦକ୍ଷେତ୍ରରୀ ବ୍ୟବ୍ରିଦ୍ଧନଦି.
ଶାଙ୍କରନ୍ଦନଦି କିର୍ତ୍ତବ୍ୟକ୍ତିଲାଭେଦା,
ଲାକ୍ଷ୍ମିରାଜନିଲ୍ଲି, ଲାଙ୍ଘିକମିନନ୍ଦନଦି.



ფარინე, ფარინე ⁵¹

ფარინე, ფარინე, სულ ფარინე,
ფარინე! ძიზისძირელი
არა ვარ—ქალი ვიტაცო გზაზედა!
ფარინე, ფარინე! ქაისხეველი
არა ვარ—ძნები მიმქონდეს გზაზედა.
ფარინე, ფარინე! ანანურელი
არა ვარ—ცხვარით ვვაჭრობდე გზაზედა.
ფარინე, ფარინე, სულ ფარინე,
ფარინე! მე ბაზალელი არა ვარ,
კირიც მომქონდეს გზაზედა.
ფარინე, ფარინე! პირმისანთი
არა ვარ—შარიც ავტეხო გზაზედა!

ფარინე, ფარინე, სულ ფარინე,
ფარინე! ძავლეურელიც არა ვარ,
ყაჩალს უძლოდე გზაზედა.

ფარინე, ფარინე! კადოეთელი
არა ვარ, თაფლი მიმქონდეს გზაზედა.

ფარინე, ფარინე, სულ ფარინე,
ფარინე! მე დგნალელი არა ვარ,
თივები შედგეს გზაზედა.

ფარინე, ფარინე, სულ ფარინე,
ფარინე!



მონაღილე⁵²

აიმა მთასა გახედე —
წარაფი წაზღვამს ნისლისა.
მხრით მიზღევს მონაღირეი,
მხრით ქოჯო¹⁾ ჰკიდავ ისრისა.
პირდაპირ ჯიხვებს შეხედავს
გუნება გაჯავრებული,
ესვრის ვაუ, გადმააგდებსა,
ჩახედავს გაცინებული,
შინ დედა მოელოდება,
ჯერი უდგ დამზადებული:
„შვილი არ მომივ ცარიელ;
კას დღეს მყავს დაბადებული“.



1) შვილდის ისრების ჩასაწყობი

პატარა აგბავი ۵۳

პატარა ამბავს გიამბობ,
ჩონგურო საჟიუინაო,
რაიც რამ გითხრა, ისწავლე,
შენც არა დაიცილაო,
უნდა ჩაგიგდო გულადა
ჩემი სალამო, დილაო.
მე ვიყავ ქაჯთა სოფელში
გუშინ გათავდა კვირაო,
ვუყურებ ქაჯის გოგოსა,
სწორფრობა გამიპირაო,
არცა გინება მწადიან,
ქაჯ იყო, მაბილბილაო,

მე იმას გამოვეპარე,
ეჯავრა, გამაწმილაო.
მცხეთას შავამხე ბანზედა,
ვერვინ მავხელე შინაო
შარხედ ორ შაწუხებული,
ხანდიხან ამავშინაო,
მხარ-გვერდზე შამავექადლე,
დალალულს დამეძინაო.
გონთ მოველ გახარებული,
სიზმრად მინახავს თინაო,
გარმავხენე და არ იყო,
სიცოცხლე მამეწყინაო,
მაგასაც სხვასად უსმევავ,
ჩემთვის შანახულ მინაო,
ჯაბრობას თავი ვანებოთ,
ქალო, გონთ მოედ, თინაო,
თორემ ბევრი მყავს ნაცნობი,
თუ გინდა გაიცინაო.
შენი გულისთვის გავწირე
ოცდათორმეტი ბინაო,
ლექს სხვაზედ გადავაჭკიოთ,
ბან მომეც საჟიჟინაო,

გარმავიტანე ქალალდი,
დავწერე „ანა-ბანაო“,
გალმა სოფელში მაწვიეს,
მასპინძელმ წამიყვანაო,
მეგულდიდების ქალები,
თინა იქ ალარ მტანაო.

ლმერთმა მასპინძელს უშველა,
მალედ იქ მაიყვანაო.

მენიშვერებოდა ქალალდი,
შუქ დადგა საკვამთანაო,
მარსკვლავმა თენებისამა
პაპიროს მაუტანაო,

ჩემზე ხევსურებ ჯავრობდეს:
„აქ რასთან მაითარაო“.

ზოგებ მითრევდეს: „დაწევი,
ქრთამ ვინამ გაიტანაო,
არ მეძინების, ქალებო,
არ ვწვები, ლმერთის მამაო,
სრულ თეთრად უნდა გათენდას
შინ წასვლა მგულავ ხვალაო.
ცის პირიც შამაბედენდა,
კარი გააღო ცამაო,

მიაც ძალიან დამათვრა,
შარაში ლუდის სმამაო,
გაყრამა უწადინომა,
ვეღარც არაის ოქმამაო,
ახლა შენ იცი, ძმობილო,
ლუშმანთა შენმა ჭკვამაო,
ეგ ლექსი გამომიგზავნეთ,
მე და ფანდურის ხმამაო.



მეცხვარეა

მეცხვარემ ცხვარი გაშალა,
შემოეფინა ჩრდილსაო,
შიგ ურევია ბატკანი,
ჟივილი მოდის ცხვრისაო.
წინ თითონ გამოუძღვება,
ხმა მოსდევს სიმღერისაო,
გახედეთ მწვანე მინდორსა,
ბალახით შემკობილსაო.
რა მშვენიერი რამა წარ,
დილაო ჩვენი მხრისაო,
ამწვანებულო ველებო,
იალალებო მთისაო!
გადაყენილან მთაზედა
თეთრი ფარები ცხვრისაო,
მეცხვარე ცხვარზე დავდივარ.

მთაზე ვაძლვებ ცხვარსაო.
თან დამდევს ჩემი მყეფარი,
ვეძახი მურიასაო,
მხარზე მკიდია ხირიში,
არ მეშინია მტრისაო.

წელზე მარტყია ხანჯარი,
პირი აქვს ფოლადისაო;
დილით მივდივარ წყაროზე,
ჩამოუჯდები თავსაო.

ხალი¹⁾ და კალტი²⁾ წინ მიდევს,
კორჩხოთი³⁾ ვხვრებავ წყალსაო,
გემრიელად შევექცევი,
ვატარებ დროებასაო.

ახლა გამოვალ გორასა,
ჩემ ცხვარს დავავლებ თვალსაო,
ცხვარი დაყრილა თოვლივით,
ამ შუადღისა ხანსაო.
გადვიხედ-გადშოვიხედე,
გაღმა გამოღმა მთასაო,

¹⁾ ხალი—დახალული მარცვალი

²⁾ კალტი—ხაჭო.

³⁾ კორჩხო—მოქნილი თხის ტყავის ჭურჭელი.

მთებს ნისლი შემოხვევია,
შიგდა შიგ თოვლიანსაო.
შიგა ჩქამობენ შურთხები¹⁾
მალლისი ჩვენის მთისაო;
გალმა გამოლმა გორები
საძოვარია ცხვრისაო.
გალმა გამოლმა ხევები
ერთურთ მიმცემი ხმისაო,
წიფლოვანა და ბორბალო,
სათავე ალაზნისაო.
მალლის მთის ცივი წყარონი,
ჩქეფით ჩამოდის ძირსაო,
ამ წყაროებით შედგება
მდინარე ალაზნისაო,
ჩაღიან, ემატებიან
მშვენებას კახეთისაო.
ამ ლექსის მომლექსებელი
პავლეა, ცხენზე ზისაო.
თავს დავტრიალებ ცხვარ ბატკანს,
თვალს არ ვაძინებ ძილსაო.



1) შურთხი—მთის ინდაური.

თამაზაშ ლექსი⁵⁵

თამაზაშ ცხენი იყიდა,
წარუხო ქონდა ფაფარი.
საწისქვილოთ გაამზადა,
აკიდა სამი ბათმანი.

აქედან კარგად ჩავიდა,
იქიდან შექმნა ჩანჩალი;
შუა გზაზე რომ მოვიდა,
გაშალა ძუა ფაფარი.

თამაზა ეუბნებოდა:

- აღექ, ცხენო და წამოდი,
ლვინით ხომ არ ხარ დამთვრალი?
- თამაზა, თავს რატომ იგდებ?

მე ლვინით რა დაშათრობდა,
მუხლებში არა მაქვს ჯანი.
ბევრი ვეცადე, თამაზა,
ვერ გაგისტუმრე ვალები.
როცა კარგი დღეს წახვიდე,
თან წაიყვანე ქალები,
ხურჯინი ზურგზე მოიდევ
და გადმოქაჩე თვალები.



ზურაბ

ზურაბ თან გახლდეს მსახურნი,
ერთხან რაკ დაიბადეო,
საღაც წაასხი ლაშქარი,
სუყველგან გაიმარჯვეო.
გაითქვი ისპანამდინა,
ყეენსთან გაიზარდეო.
აშენებულ თქვეს ოსეთი,
სარ-ცხენი გამოლალეო.
აქებენ სოსლომიშვილსა,
წახვედ და ეგიც ღნახეო.
სოსლომიშვილის ლურჯაი
სიმამრის გამულალეო.
ზურაბ, გიბარებს სიმამრი:
— სიძევ, საფურცლეს მნახეო,
ღალატ ჩემ გაგიბედავი,

ლალატი ჩემიც ნახეო!
ხილი მაართვეს საჭმელად:
— სიძევ, შეექე ხილსაო!
ჯერ ხილი ჭამა ზურაბმა,
მემრ პირი წახყვა ლხინსაო.
თავს აღგენ მოლალატენი,
მიმსხდარ ხყვან ყურის პირსაო.
ლალატ შაუტყვა ზურაბმა,
აჩქარდა, ზურნას ხსნისაო.
ხმლითა სცა ყვარჩიბარჩიძემ:
— დახქარით კახპიშვილსაო!
თუშთ მაურავის ხანჯარმა,
ზურაბ, ვიწვდინა ცრუვსაო,
მოგხდა მაურავის ხანჯარი
მარცხენა გულის პირსაო.
შახდების თუშთ მაურავსა
ზურაბის ჭამა ხანჯარი,
გარამს უბოძევე, გატონო,
ზურაბის ცხენი სალარი,
ტყავ-კაბა—სატინაშვილსა,
ზედ ოთალალი მაღალი.



ალ. შაჲბეგი⁵⁷

ძეგლად გულს გადგა სალი ქლდე,
დარაჯად ბერი მყინვარი,
და ნანას „თერგი“ მოგითხოვს,
შენ გვერდზე ჩამომდინარი.
უდროოდ გაჭალრებულმა
დღე არა ნახე მცინარი.
შეგიპყრო სევდამ ტიალმა,
და ჩაჲკლა ნიჭი მდიდარი.



მყინვარს⁵⁸

შენი ჭირიმე, მყინვარო,
მაგრა ნაგებო ძირითა,
დარაჯო ხევის სოფლების,
შემკულო შვილიშვილითა.
შვენებავ ჩვენი მთებისა,
სამხრეთითა და ჩრდილითა,
ვის ვულს არ მოჰყენ სიამეს,
როცა გიხილავს დილითა.
თავს გადგას ოქროს გვირგვინი,
მკერდი მორთული ვერცხლითა,
საომრად შამზადებულნი,
ლომ-ვეფხენი გიდგა გვერდითა.

ძირს თერგი ლვართქაფიანი,
ნადენი შენ შვილო ძირითა.
შენი ჭაღარის ჭირიმე,
ნადულო ქვა და რკინითა,
მთათ მეცვი, გაუტეხელო,
ნათქვამო კიდის კიდითა.



მიხეილ ჭურაბიშვილი⁵⁹

მიხეილ ჭურაბიშვილი
ფანდურზე ავტირდებიო;
ავამე, ჩემო ნადობო,
საღარა იმყოფებიო.
ყოილო მთათა მშვენებავ,
ვისი ეშხითა სჭირებიო?
ვის გაუცინებ ნეტარა,
მხარზე ვის დაუწვებიო?
ლამაზ თეთრ კელაპტარივით
ვის ხელში ჩამასდნებიო?

ვისრა სახლს დაემწყემსები,
ვის კერას ჩამასჯდებიო,
მე კია შენი მგონები
ჭკუაზე გადავდგებიო,
დამიბაროდი, ლაშაზო,
თუ კიდევ გავხარდებიო.
შენი გულისად წამოვალ,
შორს გზას არ დავზარდებიო,
მოვკვდები შენის ნდომითა,
სამარეს ჩავეგდებიო...
შენც ნისლო, ადე, მთას წალი,
თაჭზე რას მებურებიო,
ჩემო ლაშაზო მნათობო,
მთვარედ არ მოიხდებიო.
ქალო, არ გასახარელო,
რარიგად მიმტყუვნდებიო:
არ იმას მპირდებოდია;
„მე კი არ გავთხოვდებიო,
კარგი ბევრია ქვეყნადა,
მალე ნუ აჩქარდებიო“.
ტიდევაც გაგათხუებენ,

შენ შინ არ დაპირდებიო.
ქალის მთხოვარო, მთხუებო,
ცეცხლითამც დაიწვებიო,
შენავ გახსენებ ისრივა,
მაინც არ მავწყინდებიო,
შენ წახვალ, დამიბნელდება,
ორმოში ჩავარდებიო,
არ გეუბნები ტყუილსა,
ჩვენს ხატებს გეფიცებიო.
მე კი სუყველას ვასრულებ,
რასაც რომ დაგპირდებიო,
მაგრამ შენ სხვაგან მისდიხარ,
ჩალაში მემალებიო.
ოხერო წუთისოფელო,
ჩემს თავზე ცოდვას შვრებიო!
ქალო, რას უხედ ქმრეულსა,
უკმიახადა სდგებიო,
უმისოდ ფეხებ გისხლტება,
მაშინვე გაგორდებიო.
არ დაიჯერო გულითა,
მარინე, გეხუმრებიო.

შენც დამწყევ გულის ნებითა,
შენამც კი დავმიწდებიო,
მეყოფა, ნულარ დამცინი,
ქალო, მიწაში ვძვრებიო.



ჭარბი ლექსიგი ၆၀

დედა ვაცხონე ბიჭისა,
არალო ჭიმლის შვილსაო,
თელავის ბოლოს რო იცნო,
ხანჯარი თავის ძმისაო.
ბიჭო, ვისი გრტყავს ხანჯარი,
აშოგებოდა კითხაო,
თუშისა არის, ყონაო,
თუშისა რჯულძალლისაო.
გადაუფრინდა, ასწვადა,
დაუშვა ძუძუს პირსაო,
ვენახზე გადაუფრინდა,
შინ მიღის მშვიდობითაო,

გადმოცვივდება ყაზახი
თავიანთ რეველვითაო.

ქალი ვარ დარჩიაისი,
დიდუეთსა ვარ ციხესა,
დიდუეთს დიდი ციხეა,
წვერ ცისად მიუზნექია,
შიგ მიღვა ტახტი ლოგინი,
ქვეშ ნარეკალი მიგია.
წინ მიღვა ოქროს ლანგარი,
ზედ კვიცის ხორცი მიწყვია.
ზედ მიძევ დანა ალმასი,
ჯავარი ტარი მიგია.
საჭმელად ველამუნები,
რჯული ვერ გადამიგდია,
აბა, თუ კარგი ბიჭი ხარ,
წამოდი, წამიყვანია.
პირდაპირ მიზის ლეკია,
ჩემი საქმარო არია.

შეცხვარედ ვიყავ ქელაში,
შეცვნიან თეთრან თექანი.
ბევრ ბოსლის კარა გავალე,

ბევრგან გავშჩხილიკენ ცეცხლანი,
გულსა მიწვიან ბევრ ქალას,
წინდაიანან ფეხანი.

ჭიმლაში ივანეური
დღეში გალესავს ხმალსაო,
დედა უცხობდა საგძალსა,
მამა უბანდავს ჯლანსაო.
წავალის მამიდასთანა,
მამიდა დასწერს ჯვარსაო,
წალმ გახყევ ჭიმლას—
შენ სამპატიოს ყმასაო.
ჩამოჯდა მუჭის ღელესა,
ფშაო, დაგავლებ თვალსაო!
მწყემსებსა ხკითხავს ამბავსა,
მთიბლებ საღა თიბს მთასაო?
ანმც ყარტაულას შამყარა,
ან ფეხდით თევდორასაო,
ან ბეკსა ბეკურაულსა
ყელლილიანის ქმარსაო.
გამოგეწევა ღუნხევსა
ცაბაურ მთიულს ჯარსაო,

ხმალსა სცემს ყარტოულასა,
წინ გაუგორებს თავსაო.
დარბაეში შაყვარდება,
წელთით დახკედავს კარსაო.
შავალის ხობურაული,
წინ შაიმალლებს ხმალსაო.
ძალლო, აქ რად შამოხვე,
რად გვირევ ჯვარის კარსაო?
ივანეურის ფრანგული
ჭალას ჩაჰელნდა წყალსაო.
ბასრი ყოფილხარ ოხერო,
მაგით თუ ხფეხავდი შვალსაო,
აღეგ და წაღი, მერცხალო;
შაუდეგ ფშავის წყალსაო.
უთხროდი დედუას ჩემსა,
ნუ შეეჭმევი ჯავრსაო.
მამას მინდიას მითქოდი,
თოფს ნუ შამიჭმევ ჯანგსაო.



ଓଡ଼ିଆରୁକୁଣ୍ଡୀ

ଅଶ୍ବନ୍ଦରେନ ଢାଳାତ ପୁର୍ବେଲାସା,
ଶମରିତ ଫାମନ୍ଦୁଲ ମଧ୍ୟାଵରସାନ,
ଫାମନ୍ଦୁର, ଗାମନ୍ଦୁଲଦେବ
ତାତାରସା ଦାଳିଶ୍ରାନ୍ତିନ୍ଦୁନାନ.

ଗାନ୍ଧମନ୍ଦୁର ତିରନ୍ଦେତଶିବ,
ଲୁହିନ୍ଦୁର ଦାଖିତ୍ୟୁଦେବ ସମାନ,
ମାର୍ତ୍ତିନ୍ଦୁର ପୁରୁଷ ନାମେବ,
ମନିତାତ୍ମିନ୍ଦୁର ସକ୍ଷାସାନ.

ଇଲ କି ଏଣ ନିପୁଣ ନାର୍ତ୍ତୁଯାଲିମା,
ଦମାତ୍ର ଉଲାଲାତ୍ମେବ ଦମାନାନ.

ଢାତ୍ରାରଶି ତନ୍ତ୍ରେ ଗାନ୍ଧାରଦା,
ଲଗାନ୍ଦିଶ ଲୈନ୍ଦରଲିଶ କମାନାନ.

— რა ამბავია, ბიჭებოძე
ჭრელს ხო არავინ დახკრაო,
ბრალია კარგის სიკვდილი,
ვარსკვლავ მოეხსნა ცასაო.
შაიკვრის შავებ ღრუბლები,
დადგება მუქუს თავსაო,
გაიგეს ჯერაულთასა,
ბევრ ვაშკაც უშვებს თმასაო.
ბევრი ქალ იჭრის ლამაზი,
შვილად ნაჭრევსა თმასაო.
ნუ ეტყვით იმის ღეღასა,
ვერ მოვა გულის ხმასაო.
გამოვა, ტირილს დაიწყებს,
მთანი ეტყვიან ბანსაო.
ან ცოცხალს ვინ შემინახავს,
ან ვინ დამმარხავს მკვდარსაო,
ან ვინ მოუვლის ვაშკაცო,
შენ ნაწილ მთა და ბარსაო.



თოვლიან-ყინულიანი⁶²

თოვლიან-ყინულიანი
სჩანან ლეკეთის მთანია,
სად იყოს აბანოს ხევი,
თორლვაის ნაციხვარია.
თორლვა ყოფილა ხევსური,
ლევანის¹⁾ ნაბიჭვარია.
ფშავლებს რო დასდვა ბეგარი,
თითო შიშაგი ცხვარია.
თითო ნაცრიან-ტომარა,
ამშრალებინო წყალია,
სამუცო გამომიყოლეთ
თითო არწივის მხარია.
ვინცა შენ მოგცეს ბეგარა,
წაუწყდეს მამა მკვდარია.



¹⁾ ერეკლე მეორის შვილი, ახალგაზრდა დაიღუპა.

ଓଡ଼ିଆରୁହିରୁ^{୬୩}

ମତ୍ତାର୍କେନ, ମତ୍ତାରୀର ନାଲ୍ଲେନ,
କିରିଷ୍ଟାଗ୍ରେଜି ମନ୍ଦି ମାଲ୍ଲେନ,
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା,
ଏହତି ମହେ, ଏହତି ମତ୍ତାର୍କେନ,
ଏହତି ଶେବେ ଫାମନ୍ଦିଯାଙ୍କେ,
ଏହତି ମେ ଫାମାମଧ୍ୟାର୍କେ.

କାରି କାରି କାରି କାରି
ନାତଳିଦେଇବ ନାତଳିବା,
ସାନିବା ସାନିବା କାନିବା,
ନିନିବା ନିନିବା କାନିବା,

ბატარა ყველას მაუტანს
იმასაც სუ მატლიანსა,
არა, ჩემი ნათლიდედავ,
მე ვერა ვჭამ მარხვიანსა.

ლამბერდი მიცქის ლურჯაო,
ლაგეყუდება ძვლებიო.
სანამ კარგად ირბინე,
სანამ გეკრას ნალებიო,
მერმე დავარდნა მაზედა,
რო დაცვდა ნალურსმანებიო.

წყალ გაღმით გყავს ძროხაო,
ჩიქილა ჭრელო დედუნა,
მანდ გამოხდომა მინდოდა,
ხილი აღარა დებულა.

თხას უთხრეს მგლისა სიკვდილი,
დაიკიკინა, გაიქცა,
თხაო, რას გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა?

თავთარავნელი ჭაბუკი
წყალ გაღმა ქალსა ხყვარობდა,
ზღვას შუა ხეონდა სავალი,
ცურვით თევზებსა ხდარობდა.
ლამე ჩაუნთქამს მორევსა,
შუაზღვას ბობოქარობდა,
მოყვარე სანთელს უნთებდა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი სულელი ბებერი,
გვერდს უჯდა, აბეზარობდა,
სანთელ გაუქრა ბებერმა,
სანთელ არ კელაპტარობდა,
მეორე დილა გათენდა,
სოფელი რასმე ჯარობდა.



ყვარაში გადმოვიარე

ყვარაში გადმოვიარე,
გომურ ავილე ჭირითა:
ხარი მყავ სამუღელაი,
უნდა გავკვებო თივითა.
კარგას ქალასთან ვიძინებ,
არაყს მიზიდავს მინითა,
საბძელში შამამიჩნდება
გაცინებულის პირითა.
დედამ დაუწყო ძახილი:
— ქალო, ქათმები ყივისა!
— ნეტა რომელი იძახი,
რა სძლები ჩემი ჭირითა!

ჯერ ხო არ გათენებულა,
არ გამამცხვარვარ ძილითა.
არ, კ მამწყენია ტოლება
ლამაზის, კარგის პირისა.



დაციფრული ქალის დაღოვება⁶⁵

ნეტავი დამიწუნებდენ,
დამანებებდენ თავსაო!
დავწვე, არ დამეძინება,
ვარგო შენ გონებასაო,
ავდგე-ამყვება საგონი,
დავიწყებ ღონებასაო.
მე კი რა გადამავიწყებს.
შენს ხვევა, ტოლებასაო!
მე შენთან წოლა მერჩივნა,
დედმამის ცხონებასაო.



დამჩენელი, ხევსურის ძალო⁶⁶

დამეხსენ, ხევსურის ქალო,
ნუ სძრავ გველივით ენასა,
თავი კოდალას მიგიგავ,
ფრხნი ხოხნოტის ღერასა.
ისე არ მინდა შენ თავი,
რო კვამლი კლდენი კვერნასა.



თუში შალვაის პალი⁶⁷

ალვანში სანაქებოა
თუში შალვაის ქალია.
ქმარი მოუკლეს ქურდებმა,
ძალით გალალეს ცხვარია.
ეს რო გაიგო დიაცმა,
შამაიხვია თმანია,
აისხა იარალები,
წელზე შაიბა ხმალია,
თავზე დაიდგა ჩაჩქანი,
საომრად მიდის ქალია.
შაჰქმაზა თავის ლურჯაი,
ცხენი ჰყავ ნიავ-ქარია,

ზედ შავდა, გამაამალა,
გამაიარა გზანია,
ალაზნის პირზე მივიღდა,
შაზლი შამოჭხვდა ჩქარია.

— მაზლო, რა უყავ ივანე,
შენი ძმა, ჩემი ქმარია?

— კოდის წყაროსთან დავსწირე,
წითლის არაყით მთვრალია.

ქურდებს შეეკლათ რჯულძალლებს,
გზის პირთ დავსწირე მკვდარია.

თავით დაესჭვაო ალამი,
შავის ყორიანის ფრთანია,
თავად კი გაქცეულიყვნეს,
ვეღარ უნახე კვალია.



მზე ამობრწყინდა წითლადა

მზე ამობრწყინდა წითლადა,
სხიუსა ჰფენს არემარესა,
მის ნახვა ყველას დაატკბობს,
ყვავილთაც გაახარებსა.
ქალამ გაუშვა საქონი,
შამოაყოლა ჭალებსა;
თავდახრით წინდას მიიჩიოვს,
თვალს ავლებს არემარესა,
გულში; ვინ იცის, რას ფიქრობს,
ან ვის დარდს იზიარებსა...



ბლარიბაულის ლექსი ۶۹

ბაბო ფარ ბლარიკაული,
ახალწვერ შემომავალი,
გაცვითეს ძეძეულთელთა
გზა სამართალში სავალი.
ტანად კი ბატარაი ვარ,
საჭმებს ბევრებს ვჩადია.
ჯერ ძეძეურთას ვიპარე,
მემრ ხახმატს გადავეჩვიე,
კვირიკას ფლასებ დავპარე,
ავდექ, დუქანში გავსწიე.
ინოს ძირს ჩამოვიტანე,
ბეროს არაყჩე ვაძლიე,

ამაგით ნაყიდ პრაყი
ისევ კვირიქას ვასმიე.
ჭურდის მგზავრობა ლალოცა,
ჩემ გამარჯვება ვათქმიე.
— კვირიკავ, ერბოს ნუ ხარჯავ,
გიჯობს ქალს სქელსა აჭმიე.
შააპატივე კარგადა,
ჭიდილაობას დასწევიე.
ოასღა შემდური, კვირიკავ,
სასამართლოებს შაგჩვიე,
დაფუშლეკილ წვერან აგ-ჩაგქონ,
არ გჯერავ, კარგად დაპევლიე.



ლიაცის ჩეზბი თაგვებში⁷⁰

საბოსლოთ ამამიავალი,
წისქვილში მავედ დამზრალი.
ამანდ რო თაგვებ ყოფილა,
სრულ გადაკრიფეს მარცვალი.
ცოტახან დამძინებიყო,
ვულზე დაშისვეს ქაწარნი,
ერთ მენაც გადაუქნიე,
ჭლიკასა შასდგეს ჯახანი.
წალალეს შუა ქაცალა,
რომელნიც ჰყვანდა მაღალი,
მოფიდა მუქარაზედა,
ჩამანქიდა ხანჯარი.

თაგვების სამუქაროდა
შენაც წელზე მჩავ ხანჯარი.
მამას ჩემჩემი სატკეცლად,
რკინა აიღო მაგარი.
დედასჩემს სწყევდა, ჰკრულავდა,
ჭირმ შაგიჭამოს თავტანი!
კაცი ხარ მოხუცებული,
შენგნივ რაიღას საჭნარი.



მოვიას შვერილი⁷¹

გისაც რამე აქვს, სვას, ჭამოს,
დაჯდეს და გაიხაროსო.

საწყალი გოგიას ქვრივი
აფხაკუნებდა თაროსო.

შვილებს პპირდება: ერმო-კვერცხს,
სოსოს, დათას, და შიროსო.

შაგრამ ვინ მისცემს ერმო-კვერცხს
იმ შშობელ გასახაროსო!

ვარცლშიაც პური არ უძევს,
მარილი მოაყაროსო.

ისევ მიმართა ტაფასა,
გუშინდელ ნაღულ ფაფასა,

წამოუსვა კოვზის პირი
და შეასუსნა ყველასა.
ხან მელის ზღაპარს ეტყვის,
ხან კი ჩიტუნის ამბავსა,
აქეთ იქით ეწევიან
დედის დაგლეჯილ კაბასა.



მგლის ოიცები ⁷²

მგელმა თქო: გუშინ გორს ვიყავ,
თუთა ვჭამე და ბალია:
ახმეტა შემოვიარე,
ყურძენს შასვლიყო თვალია.
გავხედე ჩემსა ფერდოსა,
შამოჰფენიყო ცხვარია,
წინ და წინ დარჩეულიყვნეს,
რანიც ურჯულო თხანია.
გადაუფრინდი, დავაჯე,
თხაშ დაიძახა ვაია,
გადმაეშველა პატრონი,
მხარ ედო შვინდის კავია.

გადმამიქნია, დამაღვა,
შაშტეხა თეძო-ძვალია.
— დაიცა, შვილო, შემცხვარევ,
ხო აქავ გიდგა ცხვარია!
შუალაშისას მოგიხდე,
შიშაქს გაგიჭრა თავია.
გამამიყენო მწევრები,
ვეღარ გამიგონ კვალია.
წამოესწვე მზისა ყუდრისა,
გადმამედინოს წვენია,
დამჩხავხავებდენ ყორნები,
კაჭკაჭი ბოლო გრძელია.



କାନ୍ଦିଲ ପରିବହି ପାଳ ୫

ରାତ୍ରେଲୁ କାରଗି ବାର, ଶାନ୍ତିଭୂଲିଲ!
ରନ୍ଧରିଲେ ମୋକ୍ଷିବା କତ୍ତାରିଲିଲ?
ବିଶିତ ଦରି ରନ୍ଧରିଲେ ମୋକ୍ଷିବା,
ନିଲାସତ୍ତ୍ଵବନ୍ଧେ ଜୀରିଲ;
ଦାରିଶି ହିନ୍ଦାମନ୍ଦଧେ ନାମଗାଲି,
ମତାଶି ଗଲନ୍ଦଧେ ଜୟାଲିଲ,
ଏମହିନ୍ଦେବନ୍ଧେ ମନ୍ଦରାରି,
ନାଲ୍ଲେବି କୁରାଙ୍ଗଧେ ପ୍ରକ୍ରିନିଲ?
ବାଜି ହିନ୍ଦି ସନ୍ତୁଷ୍ଟେଲୁ ଦେବରିଲା—
ମନ୍ଦରିତ ମତରିନାହିଁ ଶୈତାନିଧେନିଲ,
ଦେବରିଲା ସନ୍ଦା ସନ୍ତୁଷ୍ଟେଲିନିଲ
ଦାଗାଚି ଲାଲାବନ୍ଧେଲିଲା.

ვაჟ უნდა იყოს ისეთი,
არ აშინებდეს ხანჯარი,
ფოლადის სათითენიო;
მთვრალად დაიწყებს კვეხნასა:
სახელ თუ ვერა ვქენიო!
უნდა წავიდე ლილლოსა,
ცხვარი მყავს მოსასხმელიო,
მთვრალმა ბევრ იცის კვეხნაი,
რომ მოფნიზლდების ძნელიო,
ამა ლექსისა მათქმელი
ან გრილი ხასის ფერიო,
აღარ წვებიან ქალები,
სახელ თუ ვერა ვქენიო.



დილი ხეით უნახავი და⁷⁴

დამასტეს გარღნი აყოვდენ
ძირად ერთაის ხისანი;
შასახვევნელად მამწონდენ,
მკლავნი ყოფილან დისანი!
რად რაით გამრისხდომლიყვნეს
თვალნი მალალის ხთისანი?
მანამ დას შავგმანდებოდი,
არ შამიშვებდენ მიწანი,
ცრემლნი არ მეღირსებოდენ
ჭალისანი და რძლისანი!



ფშაველთა კამათობა 75

1. ძმძია მამასახლისო,
მწარე ხარ, როგორც პიმპილი!
გიყვარდა, კიდეც მოგერგო
სოფელში ცხენით სირბილი.
გადაბრუნება ქუდისა,
კარგას ქალასთან სიცილი.
დასწველე მამიდეები,
შენზე ყროლ, შენზე ვიცინი.
გარყვნილ ბალლივით გამიხე,
ძუძუს დაუწყე ჰიდილი.

2. ვენაცვალე ჩვენს ბუღაანსა
რო ჰვავის ლოცვა წირვასა!

უკვდავებისა წყარონი
ყველგან გამოდის ცივალა.
ციებცხელება არ არის,
გაიგონებენ იმასა.

— ჩავთუთქე თქვენ ლაფანუური,
გადაჭცეული ჭირადა,
საცა უბანში გაივლით,
ყველგნით გაიგებთ გმინვასა,
მალიმალ გაგაბაგბაგებსთ
სიცხეა თქვენ კი გცივათა.
ჯლაბივით მაიკუნჭებით,
გააღრაჭუნებთ კბილათა,
მისღიხართ აფთიაქშია,
გაძლევენ ცისფერ ხინასა.
ხან ხინაც აღარა გშველით
და გადადიხართ ჟირასა.



სიპალის ციხესიმაგრე

სიკვდილმა ტევა: ზღვილან წამოველ,
ჰელვა ჩქეფით შემოვიარე,
შევკაზე თავის ლურჯარ,
ხმელეთ სუ ჩამაფიარე;
გადმაუხედენ ფშაველთა,
ჭროდენ როგორც იანი,
ჩაველირე და ვერ ჩაველ
ხალხი ჰყოლიყო ძრიალი.
შორს გზაზე ამომევება,
შავარდენ იყო მხრიანი,
გადმაუხედენ ხევსურთა,
შავნ იყვნენ, როგორც ჭიანი,

ჩაველ და ისე ჩაგთიბე,
როგორც ნალევმა¹ თივანი,
ბევრისა კარი დავსჯარე,
ბევრისაც ისევ მღე არი,
ბევრისა დედა ვატირე,
ბევრისა ცოლი თმიანი;
ბევრისა თოფი შავკიდე,
სიათა, პირ-კომლიანი,
ბევრისა ხშალი დავაგდე,
ფრანგული ფნა-სისხლიანი,
ბევრის ქალისა გავწირე
კალათა ჩხირ-წინდიანი.

○

1) ნალევი გაცვეთილი ცილი.

სიახლეები

ხმალის ნუ ჩახედავ, მოყმეო,
ხმალი მშიერი მგელია;
გავიჭრის, გავიხალიზებს,
ბოლოს საულავის მთხრელია.



ନୟାତମାନ^{୭୪}

ରାଜୁକୁମର ତଙ୍ଗା: ଯରଣି ଏହା ସଜୁଦ୍ଦି
ଏଥି ହେଠିଲା ମନ୍ଦିରନେବାସା,
ଯରତକୁଳ ସଜୁଦ୍ଦିର ଶିକ୍ଷାଦିଲ୍ଲି
ଶ୍ରୀ ମନ୍ଦିର ଦାଲିନେବାସା.

—

ଶାରୀର କାର୍ଯ୍ୟର କାରୀ ଯଥା,
ରାଜୀର କାର୍ଯ୍ୟର କାରୀ ଯଥା,
ଚିତ୍ତବାଲୀର, ଧରତିକାଳୀର ନାଦିରୀର,
ଶାରୀରି ମନ୍ଦିରର ମନ୍ଦିରର;
ଦାଲିନେବା ଅନ୍ତରାଳର ଅନ୍ତରାଳର,
ତାଙ୍ଗାର ମନୀରର ମନୀରର,



ଶାଲୀର ଛାଲାପତ୍ରୀ

ଲାମାଶ୍ରୀରେକା ବନ୍ଦି ଯାହାରା,
ଏହା ମନ୍ଦିରରେ ଜାରିରେ-ଜାରାରା,
ଫ୍ୟାଲ୍ ଅଣ୍ଟିନ ଗାମରମାନ୍ଦିନା,
ପର୍ଯ୍ୟାନ୍ତିର ହାମିମନ୍ଦିରେ ଲାଗାରାରା.
ଗିରିରାଗି ଧାରିତାରିରେ-ଶ୍ଵିଲା,
ଶେରାମତ୍ର ଶାରିହେବି ଲେଖାରା,
ଫ୍ୟାଲ୍ ଶେର ଗାମାମାନ୍ଦିନ୍ଦି,
ଶାମିଲୁଙ୍କି ପ୍ରକାଶିରେ ଗାଗାରା.
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ର ଗାନ୍ଧିମାନାଜ୍ୱେଦା,
ସାଧାତ୍ମ ବନ୍ଦିର ନିର୍ମିନ ଗଲାରାରା,
ମନ୍ଦିରିକ୍ଷୁଲାପଦାନ୍ତିନ ଇଶାରନି,
ଶୁଦ୍ଧନି ନିର୍ମିନ ଗନ୍ଧାରା.



მი სოფლის თავსა ვესახლე

მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ სოფელი ჩემ თავსა,
სოფელი კარგა მთავსობრა,
თუ მე სოფელი მეთავსა.
რაც მე სოფლისად მინდოდა,
წინ წინ მოვიდა ჩემ თავსა.



8. მოკლე შაირები

ცოლსა ნუ წელავ, ვაუაო,
თავს უკეთესის ყმისასა,
გაიგებს, გაგიჯავრდება,
ვაღას მაჰზიდნებს ხშილისასა.

—
ელუმ, შე თუღუმიშვილო,
ვეფხვი ხარ, ველის არგანი,
შენ მაჰკალ ესოვიაშვილი,
გულზე შენ დაეც ხანჯარი.

—
ქალს ნუ ჰევლევ ჯვარობაშია,
ტანზედ ნათხოვი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაშია.

ჩამორბის-კოკლაის გორსა,
ოვალ-შურთხო, შენი ქმარიო,
მისცენით ბეჭ-სახეხავნი,
გააწკრიალოს ტარიო,
საბურეს ჩარდაბ აუგეთ
ჯაჭვდეინეთ ქალიო.



მოხევური „აბესალომ და მთმრი“

„აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეყარა
ერთფერი“.

აბესალომი მეფე იყო, მხოლოდ მისი მო-
წონებული ქალი ეთერი გლეხთაგანი და
რაღვანაც მეტისმეტი თოლადი იყო, ამიტომ
აბესალომმა მეტათ თავი დაიმდაბლა და გლე-
ხის ქალი ეთერი შეირთო. ამიტომ პირველს
ნახვაზე აბესალომმა ეთერის ცოლათ შერთვის
სურვილი განუცხადა, მაგრამ გონიერმა გლე-
ხის ქალმა ეთერმა აბესალომს ასე თურმე
უპასუხა:

„შენ დიდი ხარ, დიდებული,
 დიდს ეტლზე დაბადებული.
 მე გლეხი ვარ, გლეხის შვილი,
 სისაწყლეში ვამოჩრდილი,
 შენ შენი ქნა და წახვიდე,
 დამავდო წყალწალებული“.

შეყვარებული აბესალომი ეთერს ერთგულების მტკიცე ფიცს აძლევს და მას ცოლად ირთავს. ქორწინების დროს ეთერი შეუყვარდება აბესალომის ვეზირს შარალომს (მურმანს), რომელიც თავის სულს ეშმაკებს აძლევს იმ პირობით, რომ ეშმაკებმა აბესალომს ეთერი შეაძულონ და ის შარალომს არგუნონ. ქორწინების შემდეგ ეშმაკები აბესალომის თვალში ეთერს იმოდენა ჭია-მატლს თურმე დაახვევდენ, რომ ზედ სუფრაზე ჩამოდიოდა და ამის გამო ეთერის სიყვარული აბესალომს თანდათანობით სიმძულვარედ შეეცვალა. მატლებიანი ეთერის შეცქერაც კი ეზიზლებოდა. ნამდვილად ეთერს მატლები არ ეხვეოდენ. აბესალომს ეს ეჩვენებოდა.

ამის გამო სუფრაზე მჯდომი აბესალო-
ში დაიძახებს:

„ვის ვნებავ ა ქალი ეთერიო“?

მაშინ სულგაყილული ვეზირი შარალომი
წამოდგება და სთხოვს ეთერს ცოლად, რა-
ღანაც მეტი ჭირი შე მიძღვისო და ლხინიც
შე მეკუთვნისო.—სუფრაზე მჯდომი ეთერ
დედოფალი შარალომის ხელში გადადის და
ვულარეული აბესალომი გვირგვინსაც თავი-
დან ვანიშორებს. ამაზე ეთერი ეუბნება.

„შე აბესალომ ბატონო,
რა წუნი პოვე ჩემჩიგა?
რად გამიცრუვე მაყრები
უცხოს ოემს ქვეყანაჩიგა?
ზეცით მოსული გვირგვინი
გარივე ჩალა მტვერჩიგა?“

ქორწინების შემდევ აბესალომს შორდება
გულიდან ეშმაკების მიჩნეული ჯადოები და
მას ხელახრად უბრუნდება ეთერის სიყვარუ-
ლი, ამიტომ ის მიმართავს ვეზირ შარალომს
და ეკითხება:

— შაჩალამო, შენსა შზესა,
შენი ეთერ როგორ არის?
— რასა მკითხამ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუკია,
შენ ხომ იცი ბროლის ციხე,
როგორ კამდე მაღალია?
შიგა ზის ქალი ეთერი,
თეთრი ქორი მთავარია,
გვერდით უზის დედამთილი,
იაგუნდის მარანია,
გვერდს უსხედან სამნი მულნი,
ჩამოსხმული სანთელია,
გვერდსა უზის მამამთილი,
მტრისა გულის მზარავია,
თავს აღგანან ცხრანი მაზლნი
დალესილი ალმასნია,
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი,
საფეთქელი ტაზარია,
ძუძუ ბამბის ქულას უგავს,
მკერდი ჩაშოთოვლილია,
თუ მიხვალ ალარ ჩაგიხვევს,
ეთერ ამპარტავანია.

ამ სიტყვების გავონებაზე აბესალომის სიკუვარულის აღი ეკიდება, აღგება, და მიღის ვეზირის ბროლის ციხესთან, საღაც ეთერი ეგულება და მას ამ ლექსით ესაუბრება:

„ეთერო შემოვდიოდი
შენის კიხის მზვარესა,
შემოგხედე და ატირდი
ლოგინი გეღვათ მთვარესა,
ნეტავი შენსა პატრონსა,
შენს მკლავზედ მწოლიარესა,
ვაი მე, შენსა გამყრელსა
სულ მუდამ გლოვიარესა“.

უეთეროდ აბესალომი დიდ სასოწარკვეთილებაშია, შარალომი კი მშვენიერ ეთერთან დროს განცხრომით ატარებს, მაგრამ ყველას დრო აქვს და სამარადისოთ არაფერი არა იქნება რა და სიყვარულსაც ჰოლო ექნება. ამ დროს დაიწყება ლაშქრობა და შარალომიც სალაშქროდ გაემგზავრება შორს ქვეყანაში. ეთერი მას შუაგზამდე გააცილებს და აქერთმანეთს ფიცს აძლევენ, რომ არც ერთმა გვირგვინს არ უდალატოს და ერთგულების ნიშ-

ნად მეუღლენი ერთურთს ბეჭდებს შეუცვლიან. და თუ რომლისაც ბეჭედი გაშავდება იგი უთუოთ გვირგვინის მოღალატე იქნებაო.

აბესალომი ეთერის სიყვარულის ეშჩით ლოგინად არის ჩავარდნილი. ის უგზავნის თვეის დას მარტხ ვარსკვლავს ეთერს თხოვნით,—რომ მისი სიყვარულით მომაკვდავი აბესალომი ნახოს და ამით სიკვდილი ააცდინოს,

„აღზდეგ მარტხო ვარსკვლავო,
ეთერსა კარი უარე.

თუ გკითხავს ჩემსა ამბავსა,
უთხარ უარ და უარე,
მარტხი:—რა კარქი დროება არის,
დამშვენებულა მაისი,

ფეხშიშველს გადმომივლია
მთანი და წვერნი მე ისი.

ეთერო შემხვეწნელი ვარ,
შენ მომირჩინე ძმა ისი.

ავიღებ ცოცხს და ნიჩაფსა,
გადავგვი ქვა და ქვიშასა,
ასე მიგიყვან ჩვენამდე.

ფეხი არ ახლო მიწასა,
ზედ გავფენ ყაჭა აბრეშუმს,
საგრილებელსა მზისასა.

ეთერ ქალო გეხვეწები,
შენ მომირჩინე ძმა ისი!“

ეთერი: „თქვენ თქვენი მოგწონთ
ჩარდახნი,

ჩემნიც ტერყლოსა სდგანანო.

შავს ზღვაზედ ვალაშობილი,
ცისკრის ვარსკვლავსა ჰგვანანო,

შავარყნით შემოუთვლია
ჩემსა მშობელსა დედასა,
რომელიც დაგიწუნებდეს.

ნუ იზამ მისა ნებასა,
მაგ აბესალომ ბატონმა,

რა წუნი პოვა ჩემჩიგა?
რად გამიწმილა გვირგვინი,

უცხო თემ ქვეყანაჩიგა.

არ წამოვალ მისმა მზემა,

ვისთვის ფიცი მიშიცია,

შუა გზამდენ მივყოლიგარ,

შუა ღმერთი მიშიცია,

არც შევალ მეზობლისასა,
როგორცა მტერი მტრისასა,
შევალ და ისე გამოვალ,
როგორც და მივა ძმისასა“.

ეთერმა აბესალომის დას უარი უთხრა წა-
მოსვლაზე. მაშინ აბესალომი თავის დას მე-
ორედ და მესამეჯერაც აგზავნის ეთერთან:

„ეთერ ქალო, განა მზე ხარ, განა
მთვარე, განა გორჩე ამოსული!
ჩაიხვიე აბესალომ, ალევა არის ამოსული,
გადმომხედე მე საწყალსა, რა გზიდამა
ვარ მოსული,
შენს გზაზედ აქვს იმას თვალი, შენთვის
დამწვარ დადაგული,
ნუ გეზარება, მოხვიდე,
სანამ უდგას პირში სული“.

ეთერი კიდევ უარს ეუბნება აბესალომის
დას და მას ხელცარიელს გზავნის, მაგრამ ამა-
ვე დროს შარალომის მიერ მოცემული ბეჭე-
დი გაშავდება და ამით ეთერი იგებს, რომ
მისთვის ჯარში შარალომს ულალატნია და
ამით გაჯავრებული ეთერი პირდაპირ მიდის

აბესალომის სახლში და აბესალომის დედა
შესძახის მომაკვდავ შვილს:

„შვილო მოვიდა ეთერი,
თუნდა თვალებს გაქვს ნათელი“.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი : თუნდა მოვიდენ
თუნდა ნუ,

თვალებს მომაკლდა ნათელი,
ჯერ ღმერთმან ძმანი უცოცხლოს,
მერე თვის თავი მთავარი,
ეთერსა აქ მოსვლისათვის,
ცხენი უბოძეთ საღარი,
თან კვიცი გამოაყოლეთ,
გავა ბრტყელი და მაღალი,
და თუ ამაღამც აქ დადგა,
დახურეთ ჩემი საბანი.

ეთერი: ეთერსა ცხენი არ უნდა,
დანა უბოძეთ ცალღარი,
მზის ძირსამც დაგვაღირებენ,
გზის თავსა დაგვმარხიანო,
ზედამც გამოვა მთის წყარო,
შიგ ოქროს თასნი ჰყრიანო,
მოვიდეს ქალი და რძალი,

შენდობას გვეტყოდიანო.
თუ ვინმე მოიპარავდეს,
გაქრენ და განვიდიანო.
ეთერი ამ სიტყვების შემდეგ დანით თავს
იკლავს და აბესალომიც კვდება.

„მაგ შარალომის საფლავზე,

ნარფოცნიც ამოდიანო.

ბულბულის მაგიერათა,

ვირნი სახვრემლათ დიანო,

გამლელი და გამოვლელი

ყველა მას დასცინიანო,

ფიცის და პირის გამტეხსა,

საფლავსა აფურთხიანო,

გვირგვინის წმინდათ არ დამცველს

ეშმაკნიც ტბაში ჰყრიანო“.



დელი-მიმედს⁸⁰

გურიელმა ჰქინა კრებაო,
ტყვე ნუ გაიყიდებაო.
დელი მემედს შეუთვალა:
— ცუდათ მოგივლის ქებაო.
მე შენ კი გნახავ ოზურგეთს,
სამწვერი ბაწრით ებაო.
— მე ოზურგეთს რა ხელი მაქვს,
გზა გავრჭარი სეფაო¹),
ჩულაოზი²⁾ მყავს ჯაყელი,

¹⁾ სეფა—მდინარეა შრომის თემში.

²⁾ ჩულაოზი—მეგზაური.

წევიყვან ჩხაიფხესაო ¹⁾.

ჩხაიფხემა გაამუღლავნა:
უთხრა თახო ჯაყელსაო
თახო ჯაყელს გაუგია,
გზაზე მახე დაუგია,—
გიორგელას შეუტყვია,
გზას გადალმა გაუხვია,
მისი დაგებული მახე,
ეგერ მილმა მიუტია.



¹⁾ ჩხაიფხე — ჩხაიძის ქალი.

პატარა ნიკას ლექსი⁸¹

ყური დიმიგდეთ ბიჭებო
რა ვათქმევინო ენასა,
პატარა ნიკას სახელი
გაგეგონებათ ყველასა.

დაუბერე ნიავო
პატარა ნიკა მქვიანო,
პარტიისთვის გასული ვარ,
ყაჩალს მეძახიანო!

ვეღარ უძლებდენ თვალები
საწყალი ხალხის რბევასა,
ნიკოლოზ რუსის ხელმწიფეს
ყველა ეტყოდა წყევლასა.

ბევრი ჯალათი მოვასპე
შავად დავხურე მათ ბედი,
მთავრობამ დევნა დამიწყო
ავდექ, ყაჩალად გავედი.

მთავრობამ გასცა ბრძანება
ყველა სოფელსაო,
პენსია დაენიშნება
ნიკას მამკვლელსაო;
ამ გიორგი ბურჯანაძემ¹⁾
თავი გადასდვაო:
— პატარა ნიკას მე მოვკლავ
თუ დამენიშნა პენსია,
ათი თუმანი თვეშია...

პატარა ნიკამ ეს საჭმე
ვავიგე მალლა ტყეშია,
დედას გიტირებ, გიორგი
თუ ვერ ჩაგწერო მკვდრებშია.
ჯვარის წერაზე მოვასწარ
გამოვიყვანე კარშია,
ამოვილე მაუზერი,

¹⁾ ნიკას ყოფ. ამხანაფი, შემდეგ გამცემი.

დავეცი ძუძუს თავშია.

— წალი აიღე პენსია
ათი თუმანი თვეშია.

რას დამდევდი ბურჯანაძევ,
შენი რა წამილიაო.

სიმონიშვილი¹⁾ გვერდზე მყავს,
მეც ნიკას მექახიანო.

სიმონიშვილ ზალიკოსაც
არ უნდა ქებაო,

იმისთანა ვაჟიშვილსა
ვერ გაზრდის დედაო.

ამ ოხერ საგარეჯოში
დაგვიწყეს დევნაო,

ავდექი და გავიქეცი
თელავისკენაო.

ჭიაურისა ტყეშია

სროლა მოგვიხდაო,

კისიხეველი ზალიკოც

გვერდზედა მყავდაო;

გაღახტა ბიჭი ზალიკო,

¹⁾ ნიკას კარგი ამხანაგი. მოჰკლა პოლიციამ ტფილისში.

ხეს ამოუჯდაო,
თავის კოხტა შანიხერი
ალაპარაკაო:
თორმეტი სტრაუნიკი მოკლა,
დღე დაითვალაო,
ჩვენ კი ყველანი გადავრჩით
არვინ მომკვდარაო;
სამი საათი გასტანა
თოფის სროლამაო,
იქიდანაც ჩამოკედით
ველისციხესაო...
წითლავიშვილის მარანში
შეველით შინაო;
პატარა ბიჭი გავაქციეთ
პრავეზისთვინაო:
პრავიზია მოგვიტანეს
დაგვიდგეს წინაო,
გაუგია ფურცელაძეს ¹⁾
და წამოსულაო,

¹⁾ პოლიციის მოხელე, რომელიც სდევნიდა პატარა ნიკას ~~და~~ მის ამხანაგებს.

მთელი პოლიცის ბიჭების
ალყა დარტყმულაო,
თოფის ქუხილი ატეხეს
ცხელი ტყვიისაო...
მე კარებიდან გამოველ
თოფი მეჭირა ხელშია,
ვერავის ვერა ვხედავდი
ტყვიას ვისროდი ტყეშია.
უცბად თოფი გაელვარდა
და გამახვია ბურშია,
გამწარებულმა შევძახე
თქვენ გენაცვალეთ სულშია.
ამხანაგებო, მიშველეთ,
ტყვია მომარტყეს გულშია...
— ძმებო, სანამ ცოცხალი ვარ
ყური დამივდეთო,
ჩემს მაგიერი პასუხი
ჩემს მტერს უნდა გასცეთო,
ველისციხის მოედანზედ
დამასაფლავეთო,
მარმარილოს ქვა გათაღეთ
გულზე დამადეთო—

ეს ჩემი კოხტა ქოჩორი
ზედ გამოხატეთო —
და ჩემი თავგადასავალი
ზედ დაწერეთო.



ଓପରାଶ ଲେଖଣୀ⁸²

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ମନ୍ଦିରରେ ଏହାହାତ,
ଅକ୍ଷାଂଶୁକଳାରେ ଏହାହାତ.
ତୁ ବିଜ୍ଞାନ ପ୍ରକାଶ ପାଇବାରଙ୍ଗା,
କିନ୍ତୁ ମନ୍ତ୍ରକିଳିରେ ଏହାହାତ!
କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକିଳିରେ ଏହାହାତ,
କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକିଳିରେ ଏହାହାତ.
କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକିଳିରେ ଏହାହାତ,
କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକିଳିରେ ଏହାହାତ.
— ସାଇତ ମନ୍ତ୍ରକିଳି, ପ୍ରକାଶ.
ସାଇତ, ମନ୍ତ୍ରକିଳି କିମ୍ବା ଏହାହାତ?
— ଏହାହାତ କିମ୍ବା ଏହାହାତ,
କିମ୍ବା ଏହାହାତ କିମ୍ବା ଏହାହାତ,

შენ რო ვალები დამმართე,

გაგისწორდები დღესაო.

— რას ამბობ ძმაო ციცქაო,

შენის დედმამის მზესაო.

ორას თუმანს ფულად მოგცემ,

ცხენს გამოგიბაძ ხელსაო.

ჩემს წილ დუქანსაც შენ მოგცემ,

ეხლავ მოგიწერ ხელსაო.

— აი შე თოქო, ვაჭარო,

გული რათ გაგიტყვდესაო.

შენც ამაიღე ხანჯალი,

სირცხვილი არ თქვან ხევსაო!

ერთი შემოჰკრა ციცქამა,

სისხლმა შაასხა კლდესაო,

გადმოვარდა ფასიაი,

გულზე დაიწყო კვნესაო.

— აი შე ჩემო გამჩენო,

სულ ამომჩხამდი დღესაო.

— ნუ გეშინიან ფასია,

მე არ შეგაჭმევ მგლებსაო.

ყარაულებს დაგიყენებ,

სამთავე გველეთელსაო,

ქმებსაც მე შეგიტყობინებ,
ფასია აიქ წევსაო.
ტკბილი ძილი დასცემიეს,
აღარას ფიქრობს თქვენსაო.



შვიდ წელს ტყვე ვიყავ, ღებაო⁸³

შვიდ წელს ტყვე ვიყავ, ღებაო,
კარში მე გამოუალი.
ადგენ და გამომიყვანეს,
ქალ-რძალი მედგა მრავალი.
პირდაპირ ჩამომიტინეს,
თვალ-მარგალიტი (რევალი, ¹).
ვარჩივე, ბევრი ვარჩივე,
ჯიბეს ჩავიწყე მრავალი,
ავდეჭ და გაღაუფრინდი,
საითაც მქონდა სავალი.

¹⁾ ხვავად დამდგარი.

თან მოყმე გამომაყოლეს,
ახალ წვერგაშომავალი.
მომყვა და ვერ დამეწია,
მუხლად მე ვჯობდი მრავალი,
ისარი გამამაყოლა,
ისარი ოთხზედ მავალი.
ბეჭე დამკრა, გულსა უწვდინა,
მუხლი მომწყვიტა სავალი.
ისეთსა კლდესა გადვარდი,
ნამნი არ ჩავლენ ცისანი,
წყალი რო მომწყურდებოდა,
ნამნი ავლოკნე კლდისანი,
პური რო მომშივდებოდა.
ქუშნი¹⁾) ავძოვნი მთისანი,
გზანიცა აჭყვავდებიან
ცხვრისა და მეცხვარისანი,
მათ რო არ გამოვეყვანე,
თევზნი შემწამდნენ წყლისანი!



1) ბალახის სახელია.

ზევიდან გაღმომდგარისო ⁸⁴

ზევიდან გაღმომდგარისო,
თვალუუუნ თეთრი ქალიო,
ყურსა ეყარა საყურე,
უჟლრიალებდა ქარიო,
ხელს მიქნევს,—აქეთ წამოდი,
შინ არა ჩემი ქმარიო,
ციხის საგებლად გავგზავნე,
თავს დასცემია ქვანიო,
მახარობელი მოვიდა,
ქალო მოგიკვდა ქმარიო,
სამახარობლო გავიღე,
სამოცი სული ცხვარიო,

იშასაც არ დავაჯერე,
ხელთ გამოუბი ხარიო,
პირში ჩაუდე შაქარი,
წელთ-წამოუგე ხმალიო!



სვიმანი იტყვის ქებასა ⁸⁵

(ვარიანტი)

სვიმანი იტყვის ქებასა,—
ცრემლით იძანდა პირსაო.
ამბობენ წამალათასა,
სათავე არი მთისაო.
ბუჩიკაი ჰყავ ცხორშია,
ანგელოზია ცისაო.
აღრინდებული გმირია,
შიში არ იცის მტრისაო.
შიჩა ჰყავ ირსებაი,
პატრონი დიდი ჭკვისაო.
ორი სართული დაუდგა,
სახლები თლილის ქვისაო.
ცხორი გაგზავნა ყიზლარში,

ქოხ-ბინა დააფარაო,
ბუჩიკამ თავის ცხორ-ბინა,
ჭიჭოლას ჩააბარაო.
ჭიჭოლამ ნახა სიზმარი,
გუნება შაეცვალაო,
ჭიჭოლამ იოსებაზედ.
ქალალდი გამოგზავნაო:
— ძმაო, მოგვხედე, იოსებ,
სიკვდილმა მოგვცა ძალაო...
წავიდა იოსებაი
შინ ჯალაბთ გაეპარაო,
ასი თუმანი წაილო,
სულ გზაზე გააწყალაო.
ცხრა დღე და ღამე იარა.
სულ ძილი გაიმწარაო.
ჩავიდა იოსებაი
ფარეხში იდგა ფარაო.
მწყემსები ალარცა იყო,
ცრემლები ჩამოყარაო.
— ძმაო, მოხვედი, იოსებ,
დედამ რა დავაბარაო?

აგვთავებია აზარი 1)
ლმერთმა არ შაგვიბრალაო,
მესამედ ველარ აძრახდა;
სული ლმერთ ჩააბარაო,
კუბოში ჩასვენებული,
ძმები შინ მაიტანაო.
დედამ დახედა შვილებსა,
სუ ჭკვიდან შაიშალაო.
— მენც უნდა თავი მოვიკლა,
გულში დავიკრა დანაო...
— კარგია, დადექ, დედაო,
ეგ ცოდო-ბრალიც კმარაო.
მაგათ ქვრივების ცოდომა,
სულ გული დააწყალაო,
ცეცხლი ედება სოფელსა,
იწვება როგორც ჩალაო.
ემაგის მომლექსებელი,
კობაიძეა გორადა,
ჩირიკის ხევზედ იკითხეთ,
წასვლა რათ გინდათ შორადა.



1) უამი, დრო.

ფინთი კაცი ხარ ძოძარ ⁸⁶

(ვარიანტი)

ფინთი კაცი ხარ ძოძაო,
არ გიყვარს სწორის გატანა.
ექამდე კარგი იყავი,
გამაიცვალე თან-თანა,
პატივისცემა გეკუთვნის,
შენს ძმობილ გოძიასთანა.
ჩემის წყალობით დაზღიხარ,
იმ ნაკვეთაურთ ქალთანა,
მე გაგირიგე, ძმობილო,
ვეუბნებოდი ჩქარ ჩქარა.
ერთხანს ისეთ დროს მიუელ,

შწოლარი აღგა ქმართანა.
მაშინვე გამაიხედა,
ძალლი რო გამომეტანა.
დამბულ ცხენები გაუშვა,
სოფლის ყანებში გაყარა.
ძალლი კალოში გააგდო,
მე ფიჩვი გადამაფარა.
შავიდა, ქმარს შაუქრახა:
ჩვენი ცხენები დამტოხალა!
აღექ, ყანებში მონახე,
ხალხი თავს არა დამცარა.
ამალამ გვერდით მოუდექ,
წაიღე საბელ-ავშარა,
მწვანის პირებში აძოვე,
გადუცვალოდე ჩქარ-ჩქარა.
ჯიბეში პური ჩაუდო,
შინელი წამააფარა,
ის როცა გამაისტუმრა,
ქოქოლა გადააყარა,
ხელი გამავლო შამთარა,
ორივ კარები დაჯარა,

მაშინვე ლოგინს მიეარდა,
ოთხ პირ ნაბადი გაშალა.
შამაშიჭირა ხელები,
მარტ-უღელივით მამხარა,
— ნეტავი, შენი-ჭირიმე,
ჩვენ საფლავ ერთად გათხარა.
ცოტა ხნით შენზე წინ მომკლა,
შენ ხელით მიწა მაყარა!
პირველად ამაამთქნარა,
ანაღეულათ შამჩხავლა,
პირზე ხელ გადავაფარე,
აჯამიანი არ ხარა?
მემრე კი ყური დაუგდო,
ჩქამი აღარც-კი დაყარა,
მივიდა ქობი დაჰკიდა,
ხაჭოს ხინკალი ჩაყარა.
მოჰხადა „ჯორის თავადა¹“,
ცხელი ხინკალი ჩაყარა.

¹⁾ „ჯორის თავადი“ პატარა ქილით ერბო, წინად
ე. წ. ხატისთვის ზედაშედ შენახული.

სანამ ერთს გავაცივებდი,
იმან ცხრა-ათი შაჭამა.
მივიდა, სკივრი გაალო,
სავსე ბოთლაი მოთარა.
დაასხა, დამალევინა,
ჯერ პირველ თითონ დაცალა,
თავის მკვდრებს უთხრა შანდობა,
ცოცხლებს თვალები დასთხარა.
მივიდა, წყალი გაათბო,
საპონით პირი დამბანა.
საგათენებლოდ წამოდგა,
ქათამმა როცა შაშჩავლა.
სარკეზე გამამახედა,
თოლებზე წუწი მაცალა.
კბილები დამაკრეჭინა,
კბილებში ჭია ჩამჯდარა.
თაფლიან ჯამი მომიღგა.
ყინული ერბო ჩაყარა.
ერთ ჭრელ წინდებიც მაჩუქა,
ცხრა-ათ პირები გაშალა.
დააცხო ხაჭოს კვერები,

საგზალი გამომატანა.
სოფულის ბოლომდე გამოშევა,
მოკლე გზა გამომასწავლა,
ცხრაჯერა გაღმომეხვია,
თავ-პირი ჩამამაცალა.

— დიდხანს ნუ დაჭვეიანდები,
მომიხვიდოდე ჩქარ-ჩქარა.

მე იმას ვეღარ მიუელ,
სამღურავ შემეეთვალა.

იმ მამაძალლის გაზრდილმა
წლამდე ტყუპები დაყარა.

ერთი მაშინვე მოუკვდა,
ერთი ვაჟკაცი მოჰყარა.

კარგიც რამ წამოზღილიყო,
პირველ რო ვნახე, შამზარა.

ლაშარს ვიყავით სატშია,
მაშინვე თვალი შემყარა,
ბინაზე დამიპატიუა,
იმ მამაძალლმა მამთხარა.

მაშინვე მისაყვედურა,
— შენმ ვაჟკაცობა შამრცხვალა...

მაშინ ძალიან გიყორდი,
მხრებზე რო თმები მეყარა,
ეხლა კი აღარ გინდივარ,
სიბერე შემომეპარა!..



ტრანსიქი დამიჯირა⁸⁷

ვაჟი . აღარ გახსოვნა ქალაო,
ყვარას რო იყო ქორწილი .
გამიცვდა, ჩემო ნადობო,
შენი ნაგები ლოგინი,
ციხეში დაჭერილი ვარ,
ფეხში მიყრია ბორკილი,
ვერც საით გამოვიპარე,
ყარაულ მიდგა ორპირი,
შენ გონებაში საწყალი,
როსნამდე ვიყო ცოდვილი .
ქალი . ორშაბათობით მიამბეს,
ყიზილავ, შენი დაჭერა,

განმგებსა შენის ამბისა
სამ დღეს მაცია, მაცხელა,
ღელე ლაშარსაც გამყოფსა,
სწორებში შენთავ მაჩვენა,
შენი ხმა მაყურებინა
ღვინო გასმია, გამღერა,
შენთან წოლითა გამაძლო,
ლამე ქნა არ გაათენა.



ავაჰე, ჩუშო ხალიბო⁸⁸

ავაჰე, ჩემო ნაღობო,
სადარა იმყოფებიო,
ყოილო, მთათა შვენებავ,
ვისის ეშხითა სჭინებიო.
ვის გაუცინებ, ლამაზო,
მხარზე ვის დაუწვებიო,
ვის რა სახლს დაემწყემსები.
ვის კერას ჩამასჯდებიო,
ლამაზ თეთრ კელეპტარივით
ვის ხელში ჩამასღნებიო.
მე კია შენი მგონები,
ჭკვაზეით გარღავდგებიო.

დამიბაროდი ლამაზო,
თუ კიდე გავხარდებიო.
შენის გულისთვის წაშოვალ,
შორს გზას არ დავზარდებიო,
ან ლამის სიზმრად ვიქცევი,
მოგივალ დაძინებულსა
და გარდაგიხსნი წყნარადა,
გულს თეთრად გაბრწყინებულსა.
შენ ალაროთა გახსონორ,
მე კი გწერ, როგორც ერთგულსა,
ეს ლექსი დაუბარებავ,
ქალო, შენს დავიწევებულსა,
უცხო მხარეში ნამყოფსა,
ფშავიდან გარდაგდებულსა.



შავიდეს, ნულარ მოვიდეს
დღეო⁸⁹

შავიდეს, ნულარ მოვიდეს
უბედური დღეო.
თუ მობრუნდა შემოდგომა
გიორგობის თვეო.
პროკლოები¹⁾ დასხდებიან
ტიალ ლაზბორჩეო²⁾.
შამოდექით, ჯეილებო დანაშაულზეო!
რაც რომ საქმე დააშავეთ,

1) პროკლორონები.

2) ლაზბორი—რუსული „რაზბორი“—საქმის გარევა.

ყველა წინ გიძეო,
 უნდა დაგარტყათ ბორკილი,
 მეფის კანონზეო,
 უნდა ჩაგყიროთ ციხეში,
 დაგიბნელოთ მხეო!
 ქანი მცი იქ დამიჩარეს სალდათობაზეო.
 უკან მომდევს დედაჩემი —
 —შვილო, ავაპმეო!
 აღოღილდა¹⁾ დედაჩემი
 ციხის კარებზეო,
 ეუბნება ნაჩალიკსა:
 შვილი მიჩვენეო.
 —არა, დედი, არ იქნება,
 აქ მოიცადეო,
 ხვალ დილით ჩამოახრჩობენ,
 ბაზარში ნახეო!
 —რას მიბრძანებთ, ნაჩალიკო?
 ვაი, ვაგლახ მეო!
 საით უნდა დავიღუპო,
 სად გადავარდეო?
 თვრამეტის წლისა ვაჟკაცი
 რისთვის გავზარდეო?
 ორი წელიწადი ძუძუ
 რისთვის ვაწოვეო?

¹⁾ აიტუზა.

გთა გაშრა, ძლიშა გამოჩედა⁹⁰

მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,
ეხლა ველობის ¹⁾ ხანია,
ემზადებ სათრიალეთოდ
ლვდლიანთ მამუკას ცხვარია.
გამოჰკვებოდა ნამგალა ²⁾
ჩიტაურისა ცხვარია.
ქალაქის ხილზე ჩამოლგებ
ცის არ გადასწვდებ ნამია;
ქალაქის ხილზე გადიოდ
გუგუნით ფშავლის ცხვარია.

¹⁾ ველად გასვლის ხანი.

²⁾ მეზობელი მეცხვარე

გავრეკავ ქაჩალ გორაში ¹⁾,
უნდ გავასუქო ცხვარია.
იმ ზაფხულშ ისე გაიარ,
ცის არ ჩამოვარდ ნამია,
ეხლ საშირაქოდ ემზადებ,
ღვდლიანთ მამუკას ცხვარია.
გამოჰყვებოდა ხამგალა
ჩიტაურისა ცხვარია,
გორ-გორ მოუდის დაქეჩილ ²⁾,
ლერთო დასწერე ჯვარია!
აუტყდა ქარი და ბუქი,
ვეღარ გაიღეს გზანია;
სუ ერთს აღგილას ჩაყარა
ორისივ ბინის ცხვარია.
ერთმან გაბედა, გადაჰყვა,
—არ უნდ გავანებ თავია!
თითონ ამოისვ ხანჯარი,
თითონ მოიკლა თავია.
— მითქვიდით ჩემსა დედმაშათ,

¹⁾ მოის სახელია.

²⁾ ერთბაშად მიმავალი ცხვარი.

შინ ველარ მოგალ ვარია ¹⁾.
სიცხეც არ შემაწუხებდა,
ზვავის ²⁾ ქვეშ მიღვა ცხვარია.
ჩვენ ცხვარსამ ვინდა ჩიოდა,
მწყემსებო, თქვენი ბრალია.



1) შინ ძომავალი ველარ ვარ.

2) თოვლის ზვავი.

შართლში ტიროდა თამარი

ქართლში ტიროდა თამარი,
ყამარაულის ქალია:
—იმისი სული კრულია,
ვინც ქმარს ენდობა ქალია.
გამგზავნეს მამითადშია,
სამი თვის პატარძალია,
სამოცი იყო მომკალი,
შიგ დარჩეული ყმანია,
იმათი მეძნაურენი,
თავმომწონენი არიან.
ცხრა მომკალს შუადღემდენა,
მარტომ უხვიე ძნანია,

მორეკეს სასაღილოთა,
დაკლეს უღელი ხარია.
მუშა რო დაისვენებდა,
მე მოუტანე წყალია.
მასპინძელს მოუღნცროსე,
ტალკვესით ცეცხლი დაუნთე,
ხორციც მე ჩაუყარია,
კერძებიც ჩამოურიგე,
ქმარს კი დამიკლდა ჯამია,
მაშინვე დაიბზუკუნა:
— ამას რას შავეყარია?!

მაშინვე ხმალი გალესა,
მოუწყო ცელის ფხანია,
მაშინვე გულმა გამიგო,
თუ ვაწყენინე რამეა!
შუადლით საღამომდენა,
არ გამიმართა თვალია,
გამიძლვა საღამოზედა,
ღვინო-არაყით მთვრალია,
ეგრე მივედით შინამდე,
აღარ დაყარა ჩქამია,
ადის და ჩადის ჩემ გული,

როგორც მდინარის წყალია,
თავათ ტანტზედა ღაბძანდა,
მე ბნელსა მოვეფარეა.
არ მაითმინა, გადმომკრა,
მაშინვე ამხდა გონია,
საითლა წაუვიდოდი,
სახლს ება ერთი კარია,
ერდოში გადმოუფრინდი,
იქაც ბოძს შევეხალია.
სხვის კარზე გამოვერბელე,
მაზლმა შამყარა თვალია.
—ნუ მიხვალ, ქალო ყამარო,
აქ მოვლენ შენი ძმანია...
სანამდე ძმან გაიგებენ,
თავდება ჩემი ხანია.
მამდევდა კვავი-ყორნები,
გზას მოსდევს სისხლის კვალია,
ზედ ნუ დაშავი, ყორნებო,
გადამიარე თავია,
დედაჩემს შაატყობინე,
ეს ჩემი ცოდო-ბრალია.
მოხედოს საყურ-ბეჭედთა,

გამანოს ჩემი თმანია.
გაჰკრდოს ქანდარაზედა,
ალივლივებდეს ქარია,
ჩემიც მოვალე გახდება,
ის ჩემი მარჯაყალია,
არც კაცის ხელი ეღირსოს,
არც სამჩს-კრავი ცხვარია!



ს ა რ ჩ ი ტ ბ

83.

მესამე ტომის წინასიტყვაობა	V-XVI
სიმღერა ლენინსა და სტალინზე	1
მებატონე თავადები	5
მღვდელი და გლეხი	6
ფშავლში ვაჟკაცი კვდებოდა	8
მოდით, მოგროვდით ქალებო	9
ხომ არ მომკვდარა მურმანა	11
ბატონიყმობის გაყრა	12
ულიოსი კომკავშირები	16
ფშაველების გალაშქრება მითხოზე	18
ივანე კაკიაშვილი	21
ბედია და ხირჩლა	25
ხევსურთ ლაშქარი მოვიდა	27
ჯამალხანი	29
ხევსურეთ რა ამბავია	32
მოვიდა ძალლი მუცალი	34
თათარა ჯალაბაურის შვილი	36
მდევარი	37
სოლომონ ბრძენი	40
ლუხუბი	46
ძველი ყაჩალის ამბავი	49
ამირანი	51
ტუჩას მოკვლა	53
გიორგი მთვრალაიშვილი	57

ყაჩალი მაჰმუდი	59
ხევსურული მოკლე ლექსები	64
ბრძოლა	66
დუშეთ იყრების ლაშქარი	69
ძევლი დროის ჯანისკაცის სიმღერა	72
სალდათის წერილი	75
მეფის სალდათობა	76
მეფის სალდათის ცხოვრება	78
მეფის რუსეთის ომში	82
მეფის სალდათობა	87
მსუნაგი ლვდელი	90
ჭიმღელი ივანეური	92
სადრა ხარ, ჩემო	94
თვალჭრელო, ყვითელთმიანო	96
მოკლე ლექსები	98
ჭალი თინათინ	101
ლალსა, მშვენიერს ვაჟკაცსა	103
ნუ მაშამებ	104
კარვი ხარ, თადიაურო	106
ბაჭიამ სთქვა	108
თაფარავნელი ჭაბუკი	110
სატრტიალო	112
რძალ დედამთილის ბრძოლა	113
თინათი ალე-მალეო	114
ელი ელამდა	116

ჩემი სამშობლო	118
მზის დაბნელება საქართველოში	120
ჰეი, ჰაი, წუთისოფელი	122
სიკვდილი	123
ფშაური	126
ფარინგი, ფარინგი	127
მონადირე	129
პატარა ამბავი	130
მეცხვარე	134
თამაზას ლექსი	137
ზურაბ	139
ალ. ყაზბეგი	141
მყინვას	142
მიხეილ ზურაბიშვილი	144
ფშაური ლექსები	148
ფშაური	152
თოვლიან ყინულიანი	154
ფშაური	155
ყვარაში გადმოვიარე	158
დანიშნული ქალის დაღონება	160
დაბეჭსენ, ხევსურის ქალო	161
თურთი შალვაის ქალი	162
მზე ამობრწყინდა	164
ბლარიკაულის ლექსი	165
დიაცის ჩბუბი თაგვებში	167

გოგიას ქვრივი	169
მგლის ოინები	171
რახელ კარგი ხარ	173
დიდი ხნით უნახავი და	175
ფშაველთა კამათობა	176
სიკვდილის სიმღერა	178
ხმალზე	180
როსტომი	181
ქალის დალოცვა	182
მე სოფლის თავსა ვესახლე	183
მოკლე შაირები	184
მოხევური „აბესალომ და ეთერი“	186
დელი-მემედს	196
პატარა ნიკას ლექსი	198
ციცქას ლექსი	204
შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო	207
ზევიდან გაღმომდგარიყო	209
სვიანი იტყვის ქებასა	211
ფინთი კაცი ხარ ძოძაო	214
ტრაუნიკმა დამიჭირა	220
ავაჭიე, ჩემო ნადობო	222
წავიდეს, ნუღარ მოვიდეს უბედური დღეო	224
მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა	226
ქართლში ტიროდა თამარი	229

შესაბა ტომში მოთავსებული ფოლკლორის მომღვდებელი

1. ჩასწერა სტეფანე მაროშვილის თქმით
ზირსაში პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა.
2. ღვთისო ლაგაზიშვილისა, ს. ჩარგალი
3. ჩასწერა გურჯაანში ვ. ლოლაშვილმა.
4. გავონილია გორის რაიონში.
5. ჩასწერა ევგენი მეტრეველმა გერმან
ნოზაძის თქმით სოფ. სხალგორში.
6. გაგონილია სოფ. ზენამჩარეში.
7. ჩასწერა ევსევი ლოსაბერიძემ ნიკოლოზ
ნოსარიძის თქმით ს. ქვაცევეში.
8. გოგნელშვილი, ს. გოგოლაურთა.
10. ჩასწერა ვანო გეთიაშვილმა ნიკო გე-
თიაშვლის თქმით სოფ. ჩუმლაყში.
11. " გ. ლომთათიძემ ს. ლიქოვში.
12. " გ. ლომთათიძემ შიო სისაურის
თმით სოფ. ლიქოვში.
13. " გ. ლომთათიძემ შიო სისაურის
თქმით სოფ. ლიქოვში.
14. " გ. ბუთლიაშვლმა ი. თორლვა-
შვილის თქმით ს. ლიქოვში.
15. " გ. ბუთლიაშვლმა ი. თორლვა-
შვილის თქმით სოფ. პანკისში.
16. " გ. თათარიშვილმა როსტომ
ულის თქმით სოფ. ბიგატაში.
17. " ს. მაკალათიამ ნიკალა გიგა-
ურის თქმით სოფ. გერგეტში.
18. " გ. ლომთათიძემ ს. ლიქოვში.
19. " არჩილ ზანდუქელმა.
20. " ალ. წყარუაშვილმა (სოფ. მლეთში)

21. ჩასწერა გ. ხორნაულმა ს. როშკაში, გამო-
 თქვა თათარა წიკლაურმა.
 22. „ 8. ლომთათიძემ გაგონილი შიო
 სისაურისაგან.
 23. „ ალ. წყარუაშვილმა გლეხ სიმონ.
 კობაძის თქმით სოფ. ნაოსარში.
 24. „ 8. ლომთათიძემ შიო სისაურის
 თქმით ს. ლიქოვში.
 25. „ 8. ლომთათიძემ შიო სისაურის
 თქმით ს. ლიქოვში.
 26. „ ალ. შუბიაშვილმა გიგო არა-
 ბულის თქმით.
 27. „ შურა ახალშენიშვილმა ქიში-
 კაშვილის თქმით თელავში.
 28. ალექსი ოსეურაშვილისა, სოფ. უძი-
 ლაური.
 29. პავლე რაზიკაშვილისა, სოფ. ჩარგალი.
 30. ჩასწერა გ. ონაშვილმა იოსებ ერბოწო-
 ნაშვილის თქმით.
 31. მიხეილ პაატაშვილის ჩაწერილი.
 32. ბლუი ბოგნელაშვილისა, ჩაწ. ს. მაკა-
 ლათიამ.
 33. ჩასწერა ს. მაკალათიამ.
 34. „ 8. ბუთლიაშვილმა.
 35. „ ნოე უჯმაჯურიძემ სოფ. ხევში.
 36. „ ივანე ცქიტიშვილმა ანა ლორ-
 თქიფანიძის თქმით.
 27. „ 8. ბუთლიაშვილმა საბა ათი-
 ურიძის თქმით.
 38. ეთიმ გურჯისა (მომღერალ-მგოსანი)
 39. ჩასწერა ს. მაკალათიამ.
 40. „ მ. მიქაბერიძემ.

41. ჩასწერა ვანო ჯერიაშვილმა სოფ. ჩუმ-
 ლაყში.
 42. " საულ ერემაშვილმა სოფ. დიხა-
 შხოში.
 43. " როსტომ ელიანიძემ სოფ. შე-
 ნაქოში.
 44. " ალექს. მეტრეველმა. გაკონილია
 ზემო რაჭაში.
 45. " ვანო მჭედლიშვილმა, შაჟარა-
 შვილის თქმით, სოფ. მუხრანში.
 46. " ს. მაკალათიამ.
 47. " ბ. შანიძემ. ბიჭია გეგუჩაძის
 თქმით.
 48. " ალექსანდრე წყარუაშვილმა,
 სიმონ კობაიძის თქმით, ს. ნაოსარში.
 49. " ილო მოლოდინაშვილმა.
 50. " სერგო მაკალათიამ.
 51. " ყარმაზნიშვილმა სოფ. ციხის-
 ძირში.
 52. " ვ. ბუთლიაშვილმა, საბა ითუ-
 რიძის თქმით.
 53. " ს. მაკალათიამ.
 54. " არტო ქურთიშვილმა სოფ. ბა-
 კურციხეში.
 55. " ვ. ნეფარიძემ სოფ. შუქრუთში.
 56. " გ. ლომთათიძემ შიო სისაურის
 თქმით ს. ლიქოში.
 57. იაკობ ღუდუშაურისა.
 59. ჩასწერა ს. მაკალათიამ.
 60. " მანვე ფშავეში.
 61. " მანვე.
 62. " მანვე.
 63. " მანვე.
 64. " ანო არაბულმა.

65. ჩასწერა მანვე.
 66. " მანვე.
 67. " მანვე.
 68. " ს. მაკალათიამ.
 69. " ანო არაბულმა.
 70. " მანვე.
 71. " გ. ბომასურიძემ, ვ. ბიბილა-
 შვილის თქმით ს. მეჯვრისჩევში.
 72. " ანო არაბულმა.
 73. " ს. მაკალათიამ.
 74. " ანო არაბულმა.
 75. " მანვე.
 76. " ელიზბარიშვილმა, ბ. ბალრი-
 შვილის თქმით.
 77. " ელიზბარიშვილმა, ბ. ბალრი-
 შვილის თქმით
 78. " ს. მაკალათიამ.
 79. " მანვე, განუტანეთაგურის თქმით.
 80. " პოლიო აბრამიამ.
 81. " გაბო ქვლივიძემ.
 82. " ვანო ბუთლიაშვილმა შაქრო
 ზაგაშვილის თქმით
 83. " ვაწო ბუთლიაშვილმა მარიამ
 მელიქიშვილის თქმით.
 84. " მანვე.
 85. " მანვე სოფ. დუმაცხას.
 86. " მანვე, ვ. ქავთარაძის თქმით.
 87. " ს. მაკალათიამ.
 88. " მანვე.
 89. " რ. ელანიძემ.
 90. " მანვე.
 91. " ვ. ბუთლიაშვილმა ქავთარათ-
 სოფელში.

